პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 270 (12184) | სამშაბათი, 28 ნოემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.



თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატი", ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საწარმო, საქართველოს ელექტრომრეწველობის სიამაყეა. აქ ძირითადად ქალიშვილები და ჭაბუკები მუშაობენ. ფართოდ არის გაჩაღებული მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის.

საწარმოს კოლექტივი, სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული, შრომით ვახტზე დადგა და ვადამდე — 22 ნოემბერს შეასრულა თერთმეტი თვის გეგმა.

ახლა ქარხანაში გაჩაღდა ბრძოლა წარმოების შემდგომი ზრდისა და წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

• • •

სურათზე: მოწინავე მუშები თ. კაკაბაძე, უ. გარდავაძე, ჯ. მელქაძე, ვ. სტეპანოვა, ლ. გაგუა და გ. ტუაევი, რომლებიც კომუნისტური შრომის ნიმუშებს აჩვენებენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ყამირი მიწების დიდმნიშვნელოვანი როლი კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

### ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ქალაქ ცელინოგრადში 1961 წლის 22 ნოემბერს

### ვაწარმოოთ 75 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი 100 ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე

პარტია ყაზახეთს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უსახავს აწარმოოს 75 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი 100 ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამ ამოცანის გადაწყვეტას სახავს 1970 წლისათვის. ეს სწორი არ არის, არ შეიძლება ასეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის გადადება მეტად შორეული ვადებით.

რა დროში შეიძლება მიღწეულ იქნას წარმოების აღნიშნული დონე? მე ამას დამოკიდებულს გავხდიდი იმაზე, თუ რა დროში ისწავლით თქვენ და ასწავლით ადამიანებს სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარდის, პარკოსანი კულტურების მოყვანას. როგორც კი ისწავლით ამ კულტურების უხვი მოსავლის მოყვანას, მაშინ საბჭოთა მეურნეობის დირექტორს შეეძლება თქვას: მომეცით დავალება, რამდენი ხორცის წარმოება იქნება საჭირო, იმდენს ვაწარმოებო. სწორი იქნება, ამხანაგებო, ასეთი გეზი?

**ხმები:** სწორი იქნება! (ტაში).

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** ზოგიერთმა შეიძლება თქვას, საკვებს პირუტყვის სულადობაც უნდაო. ეს სწორია. სულადობა საჭიროა. იბადება კითხვა: რა ვადაში შეიძლება მისი გადიდება საჭირო ოდენობამდე? სამი-ოთხი წლის განმავლობაში შეიძლება თუ არა გვყავდეს სულადობა? მე ვიღებ მსხვილფეხა რქიან საქონელს, ღორისა და ფრინველის სულადობა კი შეიძლება უფრო მოკლე ვადებში გადიდდეს. ეთანხმებით თუ არა იმას, რომ სამ-ოთხ წელიწადში, სულ ბევრი ხუთ წელიწადში შეიძლება გვყავდეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის და ცხვრის საჭირო სულადობა? სწორი იქნება ეს?

**ხმები:** სწორი იქნება!

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** მაშასადამე, სულადობის ზრდა ისეთი ამოცანაა, რომლის გადაჭრაც შეიძლება, მაგრამ საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ საკვების წარმოება წინ უსწრებდეს სულადობის ზრდას. ცალკეული მუშაკები არასწორად ამტკიცებენ: სულადობა იყოს, თორემ საკვები მოინახებაო. სრულებითაც არა. არ იქნება საკვები — არ იქნება პირუტყვიც. პირველ პლანზე საკვების წარმოება უნდა დავაყენოთ. მაშინ თქვენ გექნებათ არსებითად შეუზღუდავი შესაძლებლობანი მეცხოველეობის განვითარებაში. როცა თქვენ ისწავლით საკვები კულტურების უხვი მოსავლის მოყვანას, მოამრავლებთ ჯოგს, მაშინ გულდაჯერებულად იტყვით: ხორცის, რძისა და მატყლის წარმოების ყოველი დავალება შეგვიძლია შევასრულოთ. ვიმეორებ: მთავარია საკვები. ხალხური ანდაზა ამბობს: „პური იყოს, თაგვებიც იქნებიანო"! ჩვენ კი ვიტყვით: „იქნება საკვები — ხორციც იქნება".

ვფიქრობ, ჩემს სიტყვებს სწორად გაიგებთ, ამხანაგებო, და სათანადო დასკვნებს გააკეთებთ. თქვენ, ძვირფასო ყამირელო მეგობრებო, პარტიამ საპატიო ამოცანა დაგაკისრათ, თქვენ ხელთ არის მარცვლისა და ხორცის პრობლემის გადაწყვეტის გასაღები. თქვენ მარცვლეულისა და მეცხოველეობის ყველაზე უფრო სასაქონლო მეურნეობა გაქვთ. ამიტომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ მაქსიმალურად მოკლე ვადებში განავითაროთ მარცვლეულის მეურნეობა, საკვების წარმოება და ამ საფუძველზე გადაწყვიტოთ ჩვენი ქვეყნის პურით, ხორცით, რძით, მატყლით უზრუნველყოფის ამოცანა. (ტაში).

რაოდენ კმაყოფილი იქნება ხალხი, როცა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებშიც ლახვარს ჩავცემთ იმპერიალისტებს. ჩვენი მოწინააღმდეგენი ვარაუდობენ, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ შეძლებენ საჭირო რაოდენობით აწარმოონ ხორცი და რძე და დააკმაყოფილონ ქვეყნის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე. ისინი იმედოვნებენ, რომ ამით სახელი გაუტყდება სოციალისტურ წყობილებას, მიწათმოქმედების სოციალისტურ სისტემას. მათ მიაჩნიათ, რომ მხოლოდ კერძო საკუთრება, მოგების წყურვილია მთავარი სტიმული საწარმოო ძალების განვითარებაში და შრომის ნაყოფიერების გადიდებაში.

ჩვენ, კომუნისტებმა, რომლებიც ახალ გზებს ვუკაფავთ არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელ კაცობრიობასაც, უნდა ვაჩვენოთ, და ეს უკვე ვაჩვენეთ მრეწველობის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, რომ სოფლის მეურნეობის სფეროშიც უკან მოვიტოვებთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ და შევქმნით შრომის უფრო მაღალ ნაყოფიერებას, ვიდრე კაპიტალისტურ მეურნეობაშია. (ტაში).

ჩემი მოწოდება მინდა განვამტკიცო გაანგარიშებით, რომლებიც ადასტურებს პარტიის მიერ დასახული ამოცანის რეალობას.

რამდენი ჰექტარი უნდა დავიკავოთ საკვები კულტურებით, რომ მივიღოთ 75 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით 100 ჰექტარ სახნავზე?

75 ცენტნერი ხორცი რომ მივიღოთ ძროხის ხორცის ხარჯზე, საჭიროა გვქონდეს 1.100 ცენტნერი საკვები ერთეული. ამისათვის საჭიროა ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე დავთესოთ:

— 12 ჰექტარი სიმინდი 300-400 ცენტნერი მოსავლიანობით (ღერო და ტარო). ასეთი მოსავლისას ჰექტარი სიმინდი მოგვცემს 6-8 ათას საკვებ ერთეულს, ანუ 60-80 ცენტნერს, ხოლო 12 ჰექტარზე მივიღებთ 720-960 ცენტნერ საკვებ ერთეულს. თუ სიმინდის მოსავალს ავიღებთ 250 ცენტნერს, როგორც ამას ამხ. დვორეცკი ანგარიშობდა თავის გეგმაში, მაშინ საჭირო იქნება დავთესოთ არა 12, არამედ 14 ჰექტარი სიმინდი:

— 6 ჰექტარი საკვები პარკოსნები სასილოსედ 200-250 ცენტნერი მწვანე მასის მოსავლიანობით. ჰექტარი საკვები კულტურები მოგვცემს 3-4 ათას საკვებ ერთეულს, ანუ 30-40 ცენტნერს. 6 ჰექტარი ფართობიდან კი მიღებული იქნება 180-240 ცენტნერი საკვები ერთეული ჰექტარზე;

— 2 ჰექტარი შაქრის ჭარხალი ჰექტარზე 200 ცენტნერი მოსავლიანობით. ჰექტარი შაქრის ჭარხალი მოგვცემს 7 ათას საკვებ ერთეულს, ანუ 70 ცენტნერს. 2 ჰექტარზე კი მიღებული იქნება 140 ცენტნერი საკვები ერთეული.

ამრიგად, სულ საკვები კულტურებით 100 ჰექტარი სახნავიდან დაკავებული იქნება 20 ჰექტარი. ეს მოგვცემს 1.100-1.300 ცენტნერ საკვებ ერთეულს.

სიმინდის მოსავალი, რომელსაც მე ვვარაუდობ, მისაწვდომია საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის. თქვენში არის მეურნეობები, რომლებმაც ბევრად გადააჭარბეს მოსავლიანობის ამ დონეს. აი რა შედეგებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა წელს:

ცელინოგრადის ოლქი — საბჭოთა მეურნეობა „ხლებორობის" მერგოლურმა ამხ. ი. ი. ვრუბლევსკიმ ჰექტარზე მიიღო 734 ცენტნერი სიმინდი, ყაზახეთის ცაკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურმა ამხ. ი. კ. იავნიმ — 600 ცენტნერი ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობა „შიროკოვსკის" მერგოლურმა ამხ. ა. ა. კოპელმა — 431 ცენტნერი ჰექტარზე, ფრუნზეს სახელობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურმა ამხ. მუსნი ხამზამ — 420 ცენტნერი ჰექტარზე;

პავლოდარის ოლქი — საბჭოთა მეურნეობა „ალექსეევსკის" მერგოლურმა ამხ. კ. ლ. ჩაბანმა — 440 ცენტნერი ჰექტარზე;

კოკჩეტავის ოლქი — საბჭოთა მეურნეობა „ელტაისკის" მერგოლურმა ამხ. ა. პ. აბრამოვმა — 501 ცენტნერი ჰექტარზე;

კუსტანაის ოლქი — საბჭოთა მეურნეობა „კუსტანაისკის" მერგოლურმა ამხ. ა. გ. გერტმანმა — 428 ცენტნერი ჰექტარზე;

ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქი — საბჭოთა მეურნეობა „პრიიშიმსკის" მერგოლურმა ამხ. ა. მ. ბრაგინმა — 429 ცენტნერი ჰექტარზე;

ყარაგანდის ოლქი — საბჭოთა მეურნეობა „ბურმინსკის" მერგოლურმა ამხ. ს. პ. სიდოროვიჩმა — 535 ცენტნერი ჰექტარზე;

აქტიუბინსკის ოლქი — კარაბუტაკის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტმა ამხ. ჟუმაბეკ კანატოვმა — 450 ცენტნერი ჰექტარზე;

სემიპალატინსკის ოლქი — კოლმეურნეობა „ჩივილეკის" მერგოლურმა ამხ. ნ. მ. ლიუტოვამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 589 ცენტნერი სასილოსე სიმინდი.

მონაცემები სხვადასხვა ოლქებიდან რომ მომყავს, ამით მინდა გაჩვენოთ, რომ ყაზახეთში სიმინდს ყველგან შეუძლია მაღალი მოსავალი მოგვცეს.

გამახარა იმ მეურნეობათა გამოცდილებამ, რომლებმაც სიმინდის კარგი ტარო მიიღეს. აქ გამოვიდა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. დვორეცკი. მან დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ყამირ მიწას შეუძლია სიმინდის ტაროს კარგ მოსავალს იძლეოდეს. იგივე თქვეს თათბირზე ჩრდილოეთ ყაზახეთის საცდელი სადგურის აგრონომმა ამხ. იუმაგულოვმა, პავლოდარის ოლქის № 23 საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა ამხ. ჟაპაროვმა.

ზოგიერთი ამხანაგი ცდილობს ხმელი მარცვალი მიიღოს, ტაროს ხმობასაც კი იწყებს. მაგრამ ამ გზას არ უნდა დავადგეთ. ჩვენს პირობებში სიმინდის მარცვალი საჭიროა არა დასაფქვავად, არამედ პირუტყვის საკვებად, ამ მიზნისათვის კი სავსებით გამოსადეგია ჭყინტლ-ბაზი და ბაზი ტარო. კარგი იქნებოდა ცალკე ვიღებდეთ ასეთ ტაროებს ღორებისათვის. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკვებად უნდა ვასილოსებდეთ ტაროს ღეროსთან ერთად. ყამირის რაიონების ბევრი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კარგი ტაროს მიღება თქვენშიც შეიძლება. საქმე ჯიშების შერჩევაა. უნდა შემოგქონდეთ სიმინდის ისეთი ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებიც ტაროს იძლევა. მაგალითად, ბუკოვინური ჰიბრიდები, „ვორონეჟული-76" და „ვორონეჟული-80", დნეპრის ჰიბრიდები, „ოდესური-27".

თესლი ჩრდილოეთი ოლქებისათვის შეიძლება სამხრეთ ყაზახეთში გამოიყვანოთ ან უკრაინიდან და რუსეთის ფედერაციის სამხრეთი რაიონებიდან შემოიტანოთ. საჭიროა ეს საკითხი აუცილებლად გადაწყვიტოთ. ყამირის მიწამ უნდა მიიღოს ჰიბრიდები, რომლებიც აქ მოგვცემენ სიმინდის ბაზ ტაროს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ჰექტარზე ავიღოთ 30-35 ცენტნერი სიმინდი ხმელ მარცვალზე გადაყვანით.

უტაროო სიმინდი თავისი ღირსებით გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ტაროიანი სიმინდი. შეიძლება მივიღოთ უტაროო და ტაროიანი სიმინდის, აგრეთვე საკვები ჭარხლისა და შაქრის ჭარხლის ერთნაირი მოსავალი, მაგრამ შედეგები სხვადასხვა იქნება. მნიშვნელობა აქვს არა მარტო მოცულობას, არამედ იმასაც, თუ რა ღირებულებისაა საკვები.

როგორც ჩანს, საჭიროა გარდავქმნათ აღრიცხვა, რაზეც სამართლიანად ილაპარაკა ამხ. ჟაპაროვმა. შარშან მან ჰექტარზე მიიღო 600 ცენტნერი სიმინდი, წელს კი 400. ხოლო თუ გამოვიანგარიშებთ, წელს მიღებული 400 ცენტნერი უფრო მეტი ღირს, ვიდრე შარშანდელი 600 ცენტნერი, იმიტომ რომ წელს მან სიმინდი აიღო ჭყინტლი და ბაზი ტაროთი, მაშინ კი მხოლოდ მწვანე მასა. მაგალითისათვის შევნიშნავ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საკვების ღირსებას სახამებლით აფასებენ, ანგარიშობენ, რა კულტურა რამდენ სახამებელს იძლევა ჰექტარზე. ეს უფრო სწორი აღრიცხვაა. ჩვენში კი რატომღაც პროდუქციის მარტო მოცულობას აღრიცხავენ. თალგამურას დარგავენ, მრავალ ცენტნერს მიიღებენ, პირუტყვისათვის კი საკვები არა აქვთ. რატომ? იმიტომ, რომ ამ კულტურას დაბალი კვებითი ღირსებები აქვს.

სანამ თქვენ, ამხანაგებო, სიმინდს არ დაუმეგობრდებით, მეცხოველეობა თქვენში აღმავლობის გზით ვერ წავა. მეცხოველეობას რომ ავითარებდე, უწინარეს ყოვლისა საჭიროა საკვები. ხოლო რა კულტურას შეუძლია ყველაზე უკეთ შეუწყოს ხელი ამ ამოცანის გადაჭრას, ყველაზე უკეთ აანაზღაუროს დახარჯული შრომა? ასეთი კულტურაა სიმინდი. თუ სიმინდი არ აითვისეთ, თუ მას არ დაუმეგობრდით, მთელი ლაპარაკი 100 ჰექტარ სახნავზე 75 ცენტნერი ხორცის წარმოების შესახებ ფუჭი იქნება. ქვეყნად სასწაულები არ ყოფილა და არ იქნება. მიწათმოქმედების კულტურის, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის საუკეთესო საზომი იქნება თქვენი უნარი — მოიყვანოთ სიმინდის მაღალი მოსავალი, ჰექტარზე მიიღოთ 300-400 ცენტნერი მწვანე მასა ტაროიანად.

ყურადღების ღირსია წინადადება იმის შესახებ, რომ სიმინდი ითესებოდეს სიმინდის შემდგომ. ეს შესაძლებლობას მოგვცემთ მიუახლოოთ სიმინდის ნათესები ფერმებს. მაგრამ უნდა დაადგეთ იმ გზასაც, რომ ფერმები მინდვრებს მიუახლოოთ. მაშინ ნაკლები ხარჯები იქნება საკვების მიტანისა და ნაკელის გამოზიდვაზე.

სიმინდის კარგი თანამეწყვილეა საკვები პარკოსნები. ყველამ დიდი ინტერესით მოვისმინეთ კუსტანაის ოლქის პრესნოგორკოვკის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურის ამხ. მ. მ. კიმბელის სიტყვა. მან უბრალოდ, გასაგებად გვიამბო, თუ როგორ მიიღო ჰექტარზე 26 ცენტნერი პარკოსნები.

საკვები პარკოსნების აღება სამარცვლედაც შეიძლება და სასილოსედაც. სასილოსედ აღებული ტაროიანი სიმინდი ჰექტარზე 250 ცენტნერი მოსავლისას იძლევა 50 ცენტნერ საკვებ ერთეულს, 350 კილოგრამ ცილას. სასილოსედ გათიბული საკვები პარკოსნები ჰექტარზე 250 ცენტნერი მოსავლისას იძლევიან 40 ცენტნერ საკვებ ერთეულს, მაგრამ სამაგიეროდ 525 კილოგრამ ცილას. ჩანს, უფრო ხელსაყრელი იქნება დავასილოსოთ სიმინდი და პარკოსნები დაკეპილ ჩალიანად. ეს უნდა შევისწავლოთ, ცდები მოვაწყოთ, გავიანგარიშოთ.

საჭიროა მოვიფიქროთ საკითხი შარდოვანას წარმოების შესახებ მცოხნელი პირუტყვის საკვებში დასამატებლად. საქმე ეხება იმ საკვებს, რომელიც საჭირო რაოდენობით არ შეიცავს ცილას.

თქვენს პირობებში კარგ მოსავალს იძლევა შაქრის ჭარხალი. იგი შეიძლება ერთ-ერთი დასაყრდენი საკვები კულტურა გახდეს. შაქრის ჭარხლის უპირატესობანი ცნობილია. მას არ ეშინია მოყინვისა, მისი აღების შემდეგ შეიძლება ნიადაგი მზრალად არ მოვხნათ, ვინაიდან იგი საკმაოდ გაფხვიერებულია. კოკჩეტავის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ახალგაზრდა გვარდიაში" წელს ჰექტარზე აიღეს 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ვოზვიშენსკის" ფაქრად [illegible] 20 ჰექტარი ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 363 ცენტნერი ჭარხალი მიიღო. უხვი მოსავალი მოიყვანეს საბჭოთა მეურნეობა „ყაზახეთის 40 წლის" ევგენია იაკობის ასულ ივანოვას და იმავე ოლქის კოლმეურნეობა „მიროლიუბოვსკის" მიხეილ ტიმოთეს-ძე ხარჩენკოს რგოლებმა.

შაქრის ჭარხალი თქვენში ივარგებს, თუ აითვისებთ ამხ. სვეტლიჩნის გამოცდილებას. ეს მექანიზატორი ყუბანში მუშაობს ახალი ტექნიკის გამოსაცდელ ინსტიტუტში. შარშან ჰექტარზე 470 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო. რა არის ყველაზე შესანიშნავი ამხ. სვეტლიჩნის მუშაობაში? მას შაქრის ჭარხალი მოჰყავს და მოსავალს იღებს ხელის შრომის გამოუყენებლად. მექანიზაციის დანერგვამ შესაძლებლობა მისცა 17 წუთამდე შეემცირებინა შრომის ხარჯვა ცენტნერი შაქრის ჭარხლის წარმოებაზე. ეს ძალიან დასაფასებელი გამოცდილებაა. იგი თქვენს პირობებშიც უნდა გამოიყენოთ. ჯერ მცირე ფართობებზე სინჯეთ შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის ახალი ტექნოლოგიის გამოყენება, შემდეგ კი იგი კარგად უნდა აითვისოთ. იქნებ საჭირო იყოს მოიწვიოთ ამხ. სვეტლიჩნი ყამირის მხარეში ან მასთან ჩახვიდეთ. შეარჩიეთ საუკეთესო ტრაქტორისტები და დაავალეთ მათ ყველაფერი შეისწავლონ, მოაწყეთ ცდა. საქმე ერთბაშად შეიძლება ვერ წარიმართოს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს წარმატება მოპოვებული იქნება. თუ ამხ. სვეტლიჩნი დაეუფლა ახალ ხერხებს, სხვასაც ხომ შეუძლია გააკეთოს ეს.

საჭიროა უფრო გაბედულად დავნერგოთ მექანიზაცია შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის აღებაზე. ჩვენი მრეწველობა მოწოდებულია გააფართოოს ჭარხლის ასაღები და კარტოფილის ასაღები კომბაინების წარმოება.

თათბირზე გამოვიდა პავლოდარის ოლქის საბჭოთა მეურნეობა

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

დასასრული, დასაწყისი იხ. გაზ. „კომუნისტი" № 269.

# დიდი ბრიტანეთის მშვიდობის ეროვნულ კონგრესს

ლონდონი.

ძვირფასო მეგობრებო!

მოგესალმებით თქვენ, კონგრესის მონაწილეებს, და თქვენი სახით დიდი ბრიტანეთის ყველა ჭეშმარიტ მშვიდობის მომხრეს.

თქვენი კონგრესი იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ინგლისელი ხალხი, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხები, სულ უფრო აქტიურად და გადაჭრით აჩაღებს ბრძოლას ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენ ვცხოვრობთ მშვიდობისათვის დიადი ბრძოლის ეპოქაში. ჩვენს დროში არ არის უფრო მაღალი და კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე ბრძოლა მტკიცე მშვიდობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის. ეს ბრძოლა რომ მოვიგოთ, მშვიდობისათვის ყველა მებრძოლმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იშრომოს, კიდევ მეტი ძალღონე მოახმაროს ამას. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლი მთელი ძალების ერთიანობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში. თქვენს კონგრესს შეუძლია შეასრულოს დიდმნიშვნელოვანი როლი დიდი ბრიტანეთის მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირებისათვის.

ჩემი მხრივ აღვითქვამთ, რომ საბჭოთა მთავრობა, გამოხატავს რა მთელი საბჭოთა ხალხის ნებას, გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ სამუდამოდ აღკვეთოს გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხე, უზრუნველყოს ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებებს მშვიდობისათვის ბრძოლის თქვენს კეთილშობილურ საქმეში,

ნ. ხრუშჩოვი.

# დამთავრდა ციმბირის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

**ნოვოსიბირსკი,** 26 ნოემბერი. (საქდესი). დღეს აქ დამთავრდა ციმბირის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ვორონოვი, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ს. პოლიანსკი.

ციმბირის სოფლის მეურნეობის მუშაკები ორ დღეს განიხილავდნენ პურის, ხორცის, რძისა და მიწათმოქმედების და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლის შემდგომი გზების საკითხს.

26 ნოემბრის საღამოს სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ციმბირის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი და მოუწოდეს მათ გაშალონ შემდგომი ბრძოლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის.

თათბირმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

# სოციალისტური მრეწველობის უდიდესი ორგანიზატორი

**მოსკოვი,** 25 ნოემბერი. (საქდესი). სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმი. ერთ-ერთ დარბაზში, ყვავილებს შორის ლენინის ერთგული მოწაფისა და უახლოესი თანამებრძოლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის გ. კ. ორჯონიკიძის სკულპტურული პორტრეტია.

შესრულდა გრიგოლ კონსტანტინეს-ძის დაბადების 75 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად მუზეუმში მოვიდნენ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ვეტერანები, ისინი, ვინც პირველი და მეორე ხუთწლედების წლებში სერგოს ხელმძღვანელობით აშენებდა მძიმე ინდუსტრიის გიგანტებს, მოვიდნენ მოსკოვის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, ორჯონიკიძის მახლობლები.

შეკრებილებმა ფეხზე ამდგარმა, წუთიერი დუმილით პატივი სცეს გ. კ. ორჯონიკიძის ხსოვნას. ს. ზ. გინზბურგმა, რომელიც დიდხანს მუშაობდა გრიგოლ კონსტანტინეს-ძესთან ერთად მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში, შესავალ სიტყვაში დაახასიათა სოციალისტური მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზატორის ცხოვრება და მოღვაწეობა. მჩქეფარე ენერგიამ, სიმტკიცემ, პირდაპირობამ, რაც შეხამებული იყო ადამიანებისადმი გულითად დამოკიდებულებასთან, ხაზგასმით აღნიშნა მან, გრიგოლ კონსტანტინეს-ძეს პარტიის, მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა მოუხვეჭეს.

მოგონებები წაიკითხეს ძველმა კომუნისტებმა ტ. ს. კრივოვმა და ნ. ნ. კოლესნიკოვამ, აგრეთვე ე. ა. ჯაფარიძემ, ე. ე. ვესნიკმა და სხვებმა.

**სამახსოვრო** თარიღისათვის მუზეუმმა მოამზადა საინტერესო ექსპოზიცია. ერთ-ერთ დარბაზში წარმოდგენილია გრიგოლ კონსტანტინეს-ძის ავეჯი და ნივთები, რომლებიც მის კაბინეტში იყო კრემლის ბინაში. აქვეა მინერალების კოლექცია, ლითონის ზოდები, ზუსტი ხელსაწყოები, საკისარები და სხვა საჩუქრები, რომლებიც მუშებმა უძღვნეს სოციალისტური ინდუსტრიის მეთაურს.

# გულითადი მილოცვა

**მოსკოვი,** 25 ნოემბერი. (საქდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა ისმეთ ინენიუმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავს და უსურვებს წარმატებებს ამ პოსტზე მოღვაწეობაში.

საპასუხო დეპეშაში თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ისმეთ ინენიუ ნ. ს. ხრუშჩოვს გულწრფელ მადლობას უძღვნის მილოცვისათვის.

# საიუბილეო სამეცნიერო სესია

**30 ნოემბრიდან** 4 დეკემბრამდე, თბილისში გაიმართება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული საიუბილეო სესია, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი.

30 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიხსნება საიუბილეო სამეცნიერო სესიის პლენარული სხდომა. ამ სხდომაზე მოსმენილ იქნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს მ. კელდიშის, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ვ. ამბარცუმიანის, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. მამედალიევის გამოსვლები. მოხსენებას „მეცნიერება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე" გააკეთებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.

პირველ დეკემბერს მუშაობას დაიწყებენ მათემატიკის, ფიზიკის, ასტროფიზიკის, კიბერნეტიკის, ქიმიის, გეოლოგიის, გეოგრაფიისა და გეოფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინის, ტექნიკის, ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და სამართლის სექციები. სექციათა სხდომებზე წაიკითხავენ დაახლოებით 140 მოხსენებას. სექციების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები — აკადემიკოსები ი. არტობოლევსკი, ა. ბერგი, ნ. ბოგოლიუბოვი, ვ. ენგელგარდტი, ვ. ვინოგრადოვი, ს. ვოლფკოვიჩი, დ. კორჟინსკი, ა. ოპარინი, ლ. სედოვი და სხვები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, აგრეთვე სამი მოძმე რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო მეცნიერები.

კომუნისტური მშენებლობის თეორიულ პრობლემებსა და პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის ახალი პროგრამიდან და სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, ეძღვნება ძირითადად საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციების მუშაობა.

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

„პრიირტიშსკის" მეფრინველე ამხ. ე. ა. ჟუკოვა. მხურვალედ, სიყვარულით გვიამბობდა იგი საბჭოთა მეურნეობის მეფრინველეთა თავდადებულ შრომაზე.

„ცისფერი ყამირის" ათვისების ენთუზიასტებად გამოვიდნენ აქ ქალები. ისინი სამუშაოდ წავიდნენ მეფრინველეობის ფერმაში. ამ წამოწყებას სათავეში ჩაუდგა საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ცოლი გალინა ევგენის ასული გონჩაროვა. მან მეფრინველედ დაიწყო მუშაობა. მის მაგალითს მიბაძეს სხვა ქალებმა: ლიდია გურიევამ, ტატიანა შევჩუკმა, ეფროსინე ბორტნიკმა, ევსტოლია მურზინამ, ნინა სისოევამ, შურა ციმბალმა, ოლღა ვოლკოვამ, ლიდია დოგილევამ, ვალენტინა ზაიცმანმა და სხვებმა.

ეს კეთილშობილური თაოსნობაა. ამხ. გონჩაროვა მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანია. მაგრამ მან მოვალეობის მაღალი შეგნება გამოიჩინა და ფერმაში სამრომლად წავიდა. მოგესალმებით, გალინა ევგენის ასულო, თქვენ და თქვენს მეგობრებს და გისურვებთ წარმატებებს შრომაში. (ტაში).

კარგად ილაპარაკა მეფრინველეობის განვითარებაზე ამხ. პაკმა, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ ყამირ მიწებზე ფრინვლის ხორცის წარმოების ორგანიზაციაში.

მეფრინველეობა თქვენში ახალი დარგია. მისი განვითარება მხოლოდ ახლა იწყება. მაგრამ აქაც უკვე არიან მოწინავენი. შესანიშნავად ილაპარაკა იხვების გაზრდის გამოცდილებაზე ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის ჩისტოვოს სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ნინა კუზმინამ. მოსწავლეებს 15 ათასი იხვი გაუზრდიათ. ეს მისაბაძი მაგალითია.

შესანიშნავი იხვები გვაჩვენეს საბჭოთა მეურნეობა „იუევსკიში" (დირექტორი ამხ. ე. ი. ზაიჩუკოვა). მეფრინველეებმა და ზოოტექნიკოსმა ამხ. ე. მ. პონომარჩუკმა გვაცნობეს, რომ ფერმაში სიკვდილიანობა არ არის, თითო გასუქებული იხვი 3-3,5 კილოგრამს იწონის. შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც. საბჭოთა მეურნეობა „ტარანოვსკიმ" 3.189 ცენტნერი იხვის ხორცი ჩააბარა, საბჭოთა მეურნეობა „ჩისტოვსკიმ" — 1.900 ცენტნერი.

მეფრინველეობა გზას იკაფავს სხვა მეურნეობებშიც. მე ერთხელ ამხ. პაკი მოსკოვში მივიწვიე, მოვისმინე მისი ნაამბობი ფრინვლის გაზრდის გამოცდილებაზე. მან თქვა, რომ ბევრი მოზარდეული წყდება უმთავრესად იმიტომ, რომ იხვების კვების დროს საჭირო რაციონს არ იცავენ. მათ არ აძლევენ სტაფილოს, იონჯის ფქვილს და სხვა ვიტამინურ საკვებს. უვიტამინოდ ფრინველი ცუდად იზრდება და კიდევაც იღუპება. აქედან საჭირო დასკვნები უნდა გავაკეთოთ, მოვაწყოთ საკვების წარმოება მეფრინველეობის ფერმებისათვის.

ცელინოგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სამარსკის" დირექტორი ამხ. ი. გ. ლიხობაბა საქმის ცოდნით ლაპარაკობდა მეცხვარეობაზე. საინტერესო იყო დასავლეთ ყაზახეთის ოლქის პიატიმარსკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ა. ს. ბორისოვის გამოსვლაც. 1953 წლამდე ეს მეურნეობა დასპეციალებული იყო ჯიშიანი ცხენების გამოყვანაში და არსებითად არავითარ პროდუქციას არ აძლევდა სახელმწიფოს, უკანასკნელ წლებში კი, ბუნებრივი პირობების უნარიანად გამოყენებით, საბჭოთა მეურნეობა მეცხოველეობას ავითარებს. საბჭოთა მეურნეობის ფარებში 71 ათასი ცხვარია. მისასალმებელია ამხანაგების ლიხობაბასა და ბორისოვის ღონისძიებანი მეცხვარეობის განვითარებაში. სხვა საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმაც ყურადღება უნდა მიაქციონ მეურნეობის ამ დარგს, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა ცხვრის სულადობის გასადიდებლად.

ღრმა კმაყოფილება გამოიწვია მენახირე აბდუალი სამაიბაევის ცნობამ მის მიერ პირუტყვის გასუქების ვალდებულების შესრულების შესახებ. ამხ. სამაიბაევი ზრდის მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, ცხენების დიდი მოყვარულიც არის, ახლა კი უნდა მეცხვარეობაზე გადავიდეს. როგორც ერთი, ისე მეორე საქმე სასარგებლოა ხალხისათვის, ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ — ყველაფერს გაართმევთ თავს. (ტაში).

ახლა პირუტყვისა და ფრინვლის მიღების შესახებ. ეს საკითხი თათბირზე სწორად არის დაყენებული. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს პირუტყვისა და ფრინვლის გადასამუშავებელ საწარმოთა მშენებლობის გეგმა. ჩვენ გვჯერა, რომ მეყამირენი მალე წასწევენ წინ მეცხოველეობას. მზად უნდა ვიყოთ პირუტყვის მისაღებად.

**ხმები:** სწორია.

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** ყამირზე მდგომარეობიდან ვერ გამოხვალ, როგორც ცენტრალურ რაიონებში, სადაც განვითარებულია მრეწველობა და მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვეა. იქ ადვილია საწყობები იშოვნო ადამიანთა კუჭში — დაკალი პირუტყვი და გაყიდე ხორცი. აქ კი რა უნდა ვქნათ? აქედან მრავალ ასეულ, ხოლო ზოგჯერ ათასობით კილომეტრ მანძილზე უნდა მიაწოდო ხორცი მომხმარებელს. საჭიროა გვქონდეს სასაკლაოები, გასაყინავი მოწყობილობანი, რათა ისინი იღებდნენ და ყიდდნენ მაღალი ხარისხის ხორცს. (ტაში). ყოველივე ეს უნდა მოვიფიქროთ, შევისწავლოთ. მე ჯერჯერობით ფრთხილად ვლაპარაკობ, მაგრამ ვფიქრობ, რომ თუ ეს განგარიშებით გამართლდა და დადასტურდა, ეტყობა, იმ საბჭოთა მეურნეობებთან, რომლებიც ფრინველს დიდი რაოდენობით გაზრდიან, საჭიროა ვაშენოთ სასაკლაო საამქროები, თუ რა ვუწოდოთ მათ სწორად?

**ხმა:** პუნქტები.

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** ეს პუნქტი არ არის. ერთი სიტყვით, თქვენ გესმით, რომ უნდა აშენოთ. (**მხიარული გამოცოცხლება**).

საჭიროა ფრინვლის ხორცად გადასამუშავებელი მექანიზებული ხაზები. მათ ამზადებენ ჩვენში, პოლტავაში, მათ აკეთებენ უნგრეთში. ამიტომ, თუ ჩვენი მრეწველობა თავს ვერ გაართმევს შეკვეთას, უნგრელი მეგობრები დაგვეხმარებიან. ამბობენ, რომ ისინი კარგად აკეთებენ ასეთ ხაზებს.

უნდა ავაშენოთ სათავსები, გავაკეთოთ კარგი სამაცივრო დანადგარები. მაშინ შევძლებთ მივიღოთ მაღალხარისხოვანი ფრინვლის ხორცი.

**ამხ. პაკი:** და საქმე კარგად წავა.

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** დიახ, საქმე კარგად წავა.

## ახალი ტექნიკა — ყამირის საბჭოთა მეურნეობების მინდვრებს

ყამირის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების გადამწყვეტი პირობაა მექანიზაციის დანერგვა. მარცვლეულის მეურნეობის ინსტიტუტში (შორტანდი) ყოფნის დროს მე სპეციალისტებთან და კონსტრუქტორებთან ერთად დავათვალიერე მოსავლის ასაღები მანქანები. ჩვენ გვაჩვენეს სამკელი მანქანები 6 მეტრი და 10 მეტრი გატანის განით. საჭიროა ეურჩიოთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და ინჟინრებს კარგად შეისწავლონ ეს მანქანები. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი საჭიროა, რომ მოგცეთ ლითონი და საკმაო რაოდენობით დავამზადოთ ასეთი სამკელი მანქანები უწინარეს ყოვლისა ყამირის რაიონებისათვის.

რატომ არის ეს ასე საჭირო? მე მომცეს შემდეგი მონაცემები ფართო გატანისგანიანი სამკელი მანქანების ეკონომიურ ეფექტიანობაზე. ცდებს აწარმოებდნენ საბჭოთა მეურნეობის ორ განყოფილებაში. ერთი განყოფილება დაკომპლექტებული იყო ახალი ტექნიკით, მეორე კი მეურნეობებში არსებული ჩვეულებრივი სამკელი მანქანებით. აი რა შედეგები მიიღეს.

ერთსა და იმავე ფართობზე მოსავლის ასაღებად ახალი ტექნიკის გამოყენებისას საჭირო გახდა 14 მუშა, ძველი ტექნიკისას—28; მოსავლის აღება იმ განყოფილებაში, სადაც ახალი ტექნიკა გამოიყენეს, 13 დღეს გაგრძელდა, იქ კი, სადაც ჩვეულებრივი სამკელი მანქანები იყო,—21 დღეს. სამუალოდ ერთ მუშაზე პირველ შემთხვევაში აღებული იქნა მოსავალი 207 ჰექტარზე, მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ 46 ჰექტარზე.

მოსავლის ასაღები მანქანების ახალი კომპლექსის დანერგვის მეოხებით მნიშვნელოვნად მაღლდება შრომის ნაყოფიერება.

4,9 მეტრი გატანისგანიანი ძველი სამკელი მანქანებით შექმნილი ღვარეულების გალეწვაზე გამომუშავებამ 12,5 ჰექტარი შეადგინა; 6 მეტრი გატანისგანიანი სამკელი მანქანით შექმნილი ღვარეულების გალეწვაზე — 19 ჰექტარი; ხოლო 10-მეტრიანი სამკელი მანქანით შექმნილი ღვარეულების გალეწვაზე — 28,6 ჰექტარი. ყველაზე დიდმა დღიურმა გამომუშავებამ ჩვეულებრივი სამკელით 15 ჰექტარს მიაღწია, 10-მეტრიანით კი — 66 ჰექტარს.

მოსავლის ასაღები ახალი ტექნიკის გამოყენება შესაძლებელს გახდის 2,5 -ჯერ შემცირდეს მოსავლის აღებაზე მომუშავე მექანიზატორთა რიცხვი, 1,5-ჯერ — კომბაინების რიცხვი და 3-ჯერ —სამკელი მანქანების რიცხვი. გარდა ამისა, თავისუფლდება ტრაქტორები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დროულად შევასრულოთ მზრალად ხვნა და ვაწარმოოთ სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

რას ნიშნავს ეს ყამირის მხარისათვის? თქვენ 15 მილიონი ჰექტარი მარცვლეული კულტურები გაქვთ. მათი მოსავლის აღებისათვის საჭირო იქნება 48 ათასით ნაკლები სამკელი მანქანა, 52 ათასით ნაკლები კომბაინი, 100 ათასი კაცით ნაკლები მუშახელი.

აქ ბევრი ილაპარაკეს ნამჯის აღებაზე. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხია. თუ ის დროზე არ ავიღეთ, ისე შეუძლებელია მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება. როგორც ჩანს, ყველაზე რაციონალურია ვაკეთებდეთ ნამჯის საკეპ სამარჯვებს. ღვარეულების გალეწვისას ასეთი სამარჯვებით აღჭურვილი კომბაინები ნამჯას დაკეპავენ. დაკეპილ ნამჯას მისაბმელ ურიკებში ტვირთავენ, შემდეგ კი გააქვთ და ბულულებად აწყობენ. უნდა მოვნახოთ დაბულულების გონივრული რადიუსი, რათა ნაკლებად ვიყენებდეთ მანქანებს დაკეპილი ნამჯის გასაზიდავად. ასეთი აღების შემდეგ მინდორი ერთბაშად სუფთა გექნებათ და შეგეძლებათ მაშინვე მზრალად მოხნათ. (**ტაში**). დაკეპილი ნამჯა კარგი საკვებია პირუტყვისათვის. იქ კი, სადაც ნამჯა ზედმეტი იქნება, იგი არ უნდა დაწვათ, არამედ უნდა შეაგროვოთ, რათა ცხოველების საფენად გამოიყენოთ. დაგროვდება ნაკელი, რომელიც გამოყენებული იქნება მინდვრების გასაპატივებლად.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ტექნიკისადმი არასწორ, ზოგჯერ ბარბაროსულ დამოკიდებულებას, რასაც მთელ რიგ მეურნეობებში ვხვდებით. მანქანებს ზამთარში მინდვრად ტოვებენ, ტალახისაგან არ წმენდენ, წესრიგში არ მოჰყავთ. როგორც ჩანს, საჭიროა შემუშავებულ იქნას დებულება, განისაზღვროს ადამიანთა მატერიალური პასუხისმგებლობა ტექნიკის მდგომარეობისათვის და, შესაძლოა, კანონით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დაწესდეს სახელმწიფო ქონების გაფუჭებისათვის. (**ტაში**).

**ხმები:** სწორია!

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** ასეთი კანონი უნდა შევიმუშაოთ.

შორტანდში მარცვლეულის მეურნეობის ინსტიტუტში გვაჩვენეს ნიადაგის დასამუშავებელი ახალი იარაღები: ბრტყელად საჭრელები, სათეს-საოში მანქანები სატკეპნელებით, უფრთო გუთნები. უნდა გამოვიანგარიშოთ, რამდენი ასეთი იარაღია საჭირო, და ორ-სამ წელიწადში გავაკეთოთ ისინი. სასურველია ორ წელიწადში. (**ტაში**). ახალი იარაღები ეკონომიურია, შეეფერება თქვენს ჰავის პირობებს. გარდა ამისა, მათ დასამზადებლად საჭიროა ნაკლები ლითონი, ვიდრე იმ ტექნიკაზე, რომელიც ახლა თქვენში შემოაქვთ.

ყამირის მეურნეობებს მძლავრი ტრაქტორები სჭირდებათ. ამჟამად ხარკოვის ქარხანა 130-ძალიანი თვლიანი საწევარის წარმოების ათვისებაზე მუშაობს. ეს კარგი ტრაქტორია, რომელიც დიდი სიჩქარით მუშაობს. ჩვენ ვნახეთ იგი მზრალად ხვნაზე უკრაინის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში. ყველაზე მძლავრი ტრაქტორის გამოშვება შეუკვეთეს კიროვის ქარხანას ლენინგრადში — ეს 220-ცხენძალიანი მანქანაა. ეს მართლაც ყამირის ტრაქტორი იქნება. მაგრამ მისი წარმოების ათვისებას ეტყობა, გარკვეული დრო დასჭირდება.

ამხ. ლიხობაბა თავის გამოსვლაში შეეხო ტრაქტორისტთა და შოფერთა ხელფასის საკითხს, თათბირზე ლაპარაკი იყო აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მწველავთა და სხვა მუშათა ხელფასზე.

ეს საკმაოდ მწვავე საკითხია, და ყველა ორატორს როდი „ჰყოფნის დრო" უპასუხოს მას კრებაზე. ჩვეულებრივ ამბობენ, შეკითხვებზე შემდეგ გავცემ პასუხსო. ეს იმ შეკითხვებზე, რომლებიც ზოგიერთ მომხსენებელს არ აღუძრავს სურვილს პასუხი გასცეს მათზე, იმიტომ რომ ზოგმა მომხსენებელმა წინასწარ იცის, რომ პასუხი ტაშს არ გამოიწვევს. მაგრამ მე მაინც პასუხს გავცემ ამ კითხვაზე.

სწორად ამბობდა ამხ. ლიხობაბა, რომ არ შეიძლება ერთი და იმავე კვალიფიკაციის ადამიანებს, რომლებიც თანაბარი ღირებულების სამუშაოს ასრულებენ, სხვადასხვა ანაზღაურებას ვუწესებდეთ. დაშვებული უსამართლობა აღმოფხვრილი რომ არ არის, ამაში ბრალი მიუძღვით რესპუბლიკისა და პროფკავშირთა ხელმძღვანელებს. და საჭიროა, ამხანაგებო, არ გვეშინოდეს, ხოლო იქ, სადაც ეს აუცილებელია, გადავსინჯოთ ანაზღაურება. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს შესაძლებლობა არა აქვს ხელფასის დამატებითი ფონდები გამოჰყოს. მაშასადამე, უნდა იმოქმედოთ ხელფასის იმ ფონდების ფარგლებში, რომლებიც გაქვთ. თუ ზედმეტ ხელფასს აძლევდით ზოგ მუშაკს, გამოასწორეთ იგი, ნუ დაგავიწყდებათ ისეთი კატეგორიის ინტერესები, როგორიც არიან ტრაქტორისტები. (**ტაში**).

ცხადია, ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა მეთქვა თქვენთვის: ტრაქტორისტებს საკმაო ხელფასი არა აქვთ? მერე და რატომ ადრე არა თქვით? თითქოს ასეთ საკითხზე არც მსმენია რამე. არა, ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ რაც უფრო მაღალია ხელფასი, მით უკეთესია. მაგრამ ხელფასის დონე უნდა შეესაბამებოდეს მატერიალური წარმოების დონეს, შრომის მიღწეულ ნაყოფიერებას. შრომის ნაყოფიერება ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს ხელფასის ზრდას. ეს უნდა ესმოდეს ყველა კომუნისტს, ყველა საბჭოთა ადამიანს.

ეტყობა, შოფერებსა და ტრაქტორისტებს შორის შრომის ანაზღაურების თანაფარდობა არასწორია, მაგრამ ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია დავადგეთ ხელფასის მომატების ხაზს: ჯერ შოფერებს მოვუმატოთ ხელფასი, მერმე მათ შემდეგ ტრაქტორისტებს, ტრაქტორისტების შემდეგ კი კვლავ შოფერებს. სხვა რამესაც უნდა ითვალისწინებდეთ: აიღეთ ქარხნები. როგორია იქ საშუალო ხელფასი? ჩანს, ისეთივეა, როგორც ბევრი თქვენგანისა. ჩვენ მხარს ვუჭერთ მეყამირეებს, მაგრამ თქვენ მაინცდამაინც ძალიან ნუ გაამპარტავნდებით სხვა მუშების წინაშე. (**გამოცოცხლება დარბაზში**). ყველა უნდა აგროვებდეს, ზრდიდეს საერთო-სახალხო სიმდიდრეს და მისი ზრდის კვალობაზე სწორად და გონივრულად უნდა ვანაწილებდეთ ყველა მშრომელებს შორის, რომლებიც ისევე მუშაობენ, როგორც სხვები, და მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ კომუნისტური საზოგადოების აშენებას. (**ტაში**).

ხელფასის საკითხი დიდი სახელმწიფოებრივი საკითხია. მისი დონე მთლიანად დამოკიდებულია პროდუქციის წარმოებაზე, შრომის ნაყოფიერებაზე, რომელიც მიღწეულია საზოგადოებაში. 1953 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების წარმოება გადიდდა, ხორცი და რძე კი მაინც არ გვყოფნის. რატომ? იმიტომ რომ გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი, კოლმეურნეთა შემოსავალი. თუ ხელფასს გავადიდებთ და ხელფასის ფონდი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე საქონლის ფონდი, რა გამოვა მაშინ? ფული ბევრი გექნებათ, მაგრამ მაღაზიებში ხორცსა და რძეს ვერ იყიდით, იმიტომ რომ პროდუქტების წარმოება კიდევ უფრო ჩამორჩება მოსახლეობის მყიდველობით უნარს. ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ სპეკულანტი მოიგებს.

ჩემი თაობის ადამიანებს ახსოვთ სამოქალაქო ომის პერიოდი, როცა ჩვენ ყველანი თავისებური მილიონერები ვიყავით: კოლოფ ასანთში მილიონ მანეთს ვაძლევდით, საჭმელი კი არა გვქონდა. ამიტომ ხელფასის საკითხების განხილვისას გონიერება და სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ.

თქვენ ლაპარაკობთ ტრაქტორისტთა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთ სხვა მუშაკთა ხელფასზე. მაგრამ აიღეთ ექიმები, რომლებიც თქვენ გმკურნალობენ. ისინი ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე ტრაქტორისტები. ახლა მასწავლებლები, რომლებიც თქვენს შვილებს ასწავლიან. რამდენს იღებენ ისინი? ისინიც ტრაქტორისტებზე მეტს როდი იღებენ. მაშასადამე, ამხანაგებო, მარტო თქვენს თავზე კი არ უნდა ფიქრობდეთ, არ შეიძლება სხვებს მუჯლუგუნებით იშორებდეთ გზიდან. საჭიროა ყველაფერს გონივრულად, სახელმწიფოებრივად აკეთებდეთ. (**ტაში**).

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლება ყველაფერი უცვლელად დავტოვოთ. არა, თქვენ შეისწავლეთ საქმე, მიიღეთ გადაწყვეტილება, ჩვენ კი განვიხილავთ ამ გადაწყვეტილებას და, თუ საჭიროა გავასწოროთ, გავასწორებთ.

აქ ამბობდნენ საბჭოთა მეურნეობების მწველავები მცირე ხელფასს იღებენო. როგორც ჩანს, ეს სიგნალიც უნდა შევამოწმოთ, შევისწავლოთ. მაგრამ, ამხანაგებო, მწველავების შრომის ორგანიზაციის საკითხებში მე გირჩევდით უფრო გაბედულად გადახვიდეთ „თევზიფხურზე", მექანიზებულ წველაზე. მაშინ ხელფასი იმატებს.

**ხმები:** სწორია!

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** ძროხების მომსახურებაში ხელის შრომიდან გადადით მექანიზაციის უფრო ფართოდ დანერგვაზე. ხელით თქვენი დედები, თქვენი დიდედები წველიდნენ. მაგრამ ახლა მანქანებია. თუ მწველავი მომსახურებას უწევს 10-12 ძროხას, რა ღირს კილოგრამი რძე? ძალიან ძვირია. ხოლო თუ „თევზიფხურზე" გადახვალთ, როგორც ამას ივანოვის ოლქში ცოლ-ქმარი ზაბოტინები აკეთებენ, მწველავთა შრომის ნაყოფიერება და ხელფასი მკვეთრად გაიზრდება. ზაბოტინები ორივე ერთად 300 ძროხას წველიან. ისინი წელიწადში იმდენ რძეს იძლევიან, რომ შეიძლება ნავით ცურავდე, და მათი ხელფასიც მაღალია. მექანიზაცია ფერმებში — აი ჩვენი გზა. იგი იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ხელფასის ზრდას. ეს ყველაზე სწორი გზაა, ამხანაგებო.

**ხმა:** ცოტაა „თევზიფხურები".

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** მართალია, ცოტაა. მაგრამ იბრძოლეთ იმისათვის, რომ ისინი მეტი იყოს. „თევზიფხური" საჭიროა ყველგან, მაგრამ პირველ რიგში აქ, ყამირზე, იმიტომ რომ უმჯობესია „თევზიფხური" მოიტანოთ აქ, ვიდრე ათასობით ადამიანს ძროხების წველაზე იყენებდეთ. (**ტაში**).

**ხმები:** სწორია!

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და რესპუბლიკურმა ორგანიზაციებმა უნდა დააჩქარონ მანქანებისა და მოწყობილობის მიწოდება მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისათვის, და უწინარეს ყოვლისა ყაზახეთისა და ციმბირის ყამირ რაიონებში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ყამირის საბჭოთა მეურნეობების შემდგომ ელექტროფიკაციას. ამ მხრივ ჩვენში ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ, როგორც სწორად აღნიშნავდნენ თათბირის მონაწილენი, წარმოება ფართოვდება და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე იზრდება. გამოსავალი ის არის, რომ იქ, სადაც საბჭოთა მეურნეობები დიდი მანძილით არიან დაშორებულნი ელექტროგადაცემის ხაზებს, საბჭოთა მეურნეობებს საკმაო სიმძლავრის ლოკალური ელექტროძრავები მივცეთ.

თუ ახლა ჩვენი მრეწველობა საჭირო რაოდენობით ვერ შეძლებს ასეთი ძრავების მიწოდებას, შესაძლოა მათი შეკვეთა ჩეხოსლოვაკიაში. ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, იმიტომ რომ თუ ელექტროფიკაცია არ იქნა, ისე „თევზიფხურს" საბჭოთა მეურნეობაში გასაკეთებელი არაფერი ექნება.

მე ბარათით მომმართა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. იგი მწერს, რომ ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქში უარს ამბობენ კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვაზე. უცნაურია, მაგრამ, ეტყობა, ფაქტია. როგორ გავიგოთ ეს, ამხანაგო ოლქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელებო? კოლმეურნეობები ჩვენი სოციალისტური საწარმოები არიან, და ისინი საბჭოთა მეურნეობების თანაბრად უნდა იღებდნენ ტექნიკას. (**ტაში**).

მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. კან დე ხანს ისეთივე მანქანები უნდა მივცეთ, როგორიც ინსტიტუტში იქნება, რათა შევქმნათ თანაბარი პირობები ინსტიტუტთან კოლმეურნეობის შეჯიბრებისათვის. (**ტაში**).

რამდენიმე შენიშვნა სასოფლო მშენებლობაზე. მე მითხრეს, რომ თქვენში წელს მთავრდება რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის აგება. ეს შესაძლებლობას მოგვცემთ მოაწყოთ რკინაბეტონის წარმოება სახლებისა და სხვა სათავსების კარკასებისათვის. და კარკასის დროსაც კი რაციონალურად უნდა იყენებდეთ ალიზს როგორც საკედლე მასალას.

არ შემიძლია დამშვიდებით ვილაპარაკო იმაზე, რომ მეცნიერებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თავს მოახვიეს ძროხების დაბმულად შენახვა. უბრალო ადამიანებმა ეს ვერ მოიფიქრეს.

ბავშვობაში მდიდარ მემამულესთან ვმუშაობდი. მას ძალიან კარგი მამული, დიდი მეურნეობა ჰქონდა. მემამულის ფარეხები კარგი იყო. მაგრამ მაშინ არავის არ მოსდიოდა აზრად ძროხების დაბმა, ღორების დოლფარებში დამწყვდევა. დაზგებში, როგორც წესი, ცხენები იდგნენ და ისიც მხოლოდ საფერხეები და მწარმოებლები.

ასე ინახავდნენ პირუტყვს საუკუნეობით, და ამაში ადამიანები ცუდს არაფერს ხედავდნენ. მაგრამ აი გამოჩნდნენ „ჭკუის კოლოფები", რომლებმაც ძროხა ბაგაზე დააბეს, თვითეულ ღორს ცალკე დოლფარა მისცეს. საქმე სასაცილო ამბებამდე მივიდა. ჩვენში კინოშიც კი აჩვენებდნენ, როგორ კვებავენ ხბოს, შემდეგ კი დრუნჩს ხელსახოცით უწმენდნენ. ნახეთ, რა „კულტურა" გვაქვსო. (**გამოცოცხლება დარბაზში**).

თქვენი რესპუბლიკის ბევრი ხელმძღვანელი უჩივის იმას, რომ არ არის ერთიანი მიზანდასახულობა, არ არის შენობათა გონივრული ტიპური დაპროექტება. თქვენ დაპროექტეთ ერთი საბჭოთა მეურნეობის კარმიდამო, დეტალურად განიხილეთ ეს პროექტი, და საქმე კარგად წავა, იმიტომ რომ თქვენში ყამირის მეურნეობებში პირობები ერთნაირი გაქვთ. მაგრამ ამაზე არავინ არ მუშაობს.

საბჭოთა მეურნეობა „იუევსკიში" ჩვენ ვნახეთ, როგორ არის გაფანტული ყველა შენობა რამდენიმე ჰექტარზე. რამდენი კომუნიკაცია უნდა აშენდეს, რამდენი მოკირწყლული გზა უნდა იქნას გაყვანილი? თორემ ტალახში ჩაეფლობით. ვისა სჭირდება ეს? ვინ მოიგონა?

თქვენ ამბობთ, რომ თქვენში ძალიან ბევრია საპროექტო ორგანიზაციები, მაგრამ რა შუაშია აქ საპროექტო ორგანიზაციები, თუ ხელმძღვანელები უკადრისობენ თვითონ იფიქრონ იმაზე, უფრო რაციონალურად როგორ დაიგეგმოს დაბა.

არსებულ პროექტებში ბევრი რამ არ არის ბოლომდე მოფიქრებული, და ამაში ბრალი მიუძღვით ხელმძღვანელებს, ყველაზე მეტად კი ამხ. მაცკევიჩს, იმიტომ რომ ყველა პროექტი, რომლებითაც ახლა აშენებენ, დამტკიცებულია მის მიერ, როცა იგი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო.

ყაზახეთში ცოტა ვნახე ლელის შენობა. ვიყავი საბჭოთა მეურნეობა „იუევსკიში", რას აკეთებენ იქ ლელისაგან? არაფერს. ვიყავი მარცვლეულის მეურნეობის ინსტიტუტში, საბჭოთა მეურნეობა „კანტემიროვეცში" — იქაც არაფერს არ აშენებენ ლელისაგან.

საბჭოთა მეურნეობა „იუევსკიში" ბაკებს ქვიშაქვისა და წნელისას აშენებენ. ეს ფრიად შრომატევადი საქმეა. რატომ არ უნდა აშენებდეთ ბაკებსა და საფრინველეებს ალიზის გამოყენებით? რატომ არ შეიძლება კარკასი და საძირკველი რკინაბეტონისა გაკეთდეს, შემდეგ ალიზი დაეწყოს.

ამბობენ, ალიზის შენობები მკვიდრი არ არის, მალე ინგრევაო. ეს სწორი არ არის. მე ბავშვობაში მაღაროში ალიზის სახლში ვცხოვრობდი. ახლაც, დონბასში როცა ჩავდივარ, ჩემი მეგობრის კოსენკოს სახლში შევივლი ხოლმე. იგივე მიწური, რომელშიც არაერთხელ გვძინებია 1909 წელს, დღემდე დგას. ახალი სახლიც ალიზისაგან არის აშენებული, მშვენიერი სახლი. ეს რუტჩენკოვოშია, სადაც ნალექები მეტია, ვიდრე თქვენში. აურიეთ თიხა და ბზე და აშენეთ სახლები. სულ მცირე ორმოცდაათ წელს გაძლებენ. აი ადგილზევე გექნებათ კარგი საშენი მასალა.

ლელსა და ალიზს ფართოდ უნდა იყენებდეთ მეცხოველეობის სათავსების მშენებლობაზე. საკითხავია, ღორებისათვის რათ უნდა აშენებდეთ კაპიტელიან და სვეტებიან დარბაზებს, ღორებს ამისი არა ესმით რა. (**სიცილი**). ალიზი მტკიცე საშენი მასალაა. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ვურჩევ მოაგვარონ ალიზის წარმოება და უფრო გაბედულად შეუდგნენ ალიზის საღორეების მშენებლობას.

ბევრ საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ყოფნა მომიხდა, ამ დარბაზის სიმაღლე საღორე ვნახე. რა საჭიროა ასეთი ზედმეტობა? ღორი საკმაოდ არამომთხოვნი ცხოველია, თუმცა ისიც ვერ ითმენს ღორობას. საღორეები შეიძლება გაკეთდეს ნახევარმიწურის ტიპისა, რომ სინათლე და სითბო იყოს. ასე გაცილებით უფრო იაფი იქნება და საქმეც დაჩქარდება. რა თქმა უნდა, ზოგ ვინმეს შესაძლოა მოსწონს პირუტყვისათვის არქიტექტურული და მხატვრული სამკაულებით მორთული სადგომების აშენება. მაგრამ გამოიანგარიშეთ, დედალღორისათვის რამდენი კაპიტალდაბანდება იქნება საჭირო? დაე უბრალო და იაფმა სადგომებმა გაძლონ 10-15 წელს, შემდეგ მათ უფრო ფუნდამენტალური შენობებით შევცვლით. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოვიგოთ დრო, რათა უფრო სწრაფად ვზარდოთ ხორცის წარმოება.

აქ ლაპარაკი იყო მინისა და ლურსმანზე. ლურსმნის წარმოების საკითხი მართლაც ერთ-ერთი ძირითადი საკითხი გახდა. იგი უნდა გადავწყვიტოთ.

თათბირზე ბევრი ლაპარაკი იყო სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ. მინდა გავაკეთო კიდევ ერთი დამატება ამ საკითხზე.

ამას წინათ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვითაც სამეცნიერო დაწესებულებებს ეკისრებათ მათთვის მიმაგრებული მიწიდან ჩააბარონ სახელმწიფოს პროდუქცია, ისევე როგორც საბჭოთა მეურნეობებმა.

**ხმები:** სწორია!

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** აი თქვენ ამბობთ სწორიაო, ინსტიტუტების ცალკეული დირექტორები კი სხვა აზრისა არიან. მათ მიაჩნიათ, რომ ეს გადაწყვეტილება თითქოს ხელს შეუშლის მეცნიერებას, ზიანს მიაყენებს მეცნიერულ კვლევას. ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო ცალკეული ფაქტები. თქვენ ყველამ იცით კარავაევოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი კოსტრომის ოლქში. ამ ინსტიტუტში მუშაობს საკმაოდ ბევრი ისეთი ადამიანი, რომელთა სახელი თავის დროზე მთელ ჩვენს ქვეყანაში იყო განთქმული. ამ ადამიანებზე არ შემიძლია რაიმე ცუდი ვთქვა. მაგრამ იქნებ დაინტერესდეთ, როგორია ინსტიტუტის მეურნეობაში ლიტრი რძის თვითღირებულება? 20 კაპიკი ახალი ფულით. საკითხავია, რა მეცნიერებაა ეს და რა საჭიროა იგი, თუ იქ პროდუქცია უფრო ძვირია, ვიდრე საბჭოთა მეურნეობაში? რას იტყვით, ამხანაგო მეცნიერებო, სწორად ვაყენებ საკითხს?

**ხმები:** სწორად! (**ტაში**).

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** ერთხელ სარატოვში ჩავედი სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე. მითხრეს, აქ საკვების ინსტიტუტი არისო. მოდი წავიდეთ-მეთქი. მეცნიერებთან შეხვედრისას ვკითხე: საკვების საქმე როგორა გაქვთ-მეთქი. მიპასუხეს: საკვების საქმე, ამხანაგო ხრუშჩოვ, ცუდად გვაქვს, მხოლოდ ის საკვები გვაქვს, რომელსაც სახელმწიფო გვაძლევს. და ეს საკვების ინსტიტუტში ხდება. რა საჭიროა გვქონდეს ასეთი მეურნეობა, ისიც სამეცნიერო დაწესებულების ალმით?

ამხანაგო მეცნიერებო! ჩვენ პატივს ვცემთ მეცნიერებას, მაგრამ თქვენც პატივისცემით მოეკიდეთ თქვენს თავს, პატივისცემით მოეკიდეთ ჩვენს წესებს. ექსპერიმენტებისათვის უნდა გამოიყოს რომელიღაც ნაკვეთები, უექსპერიმენტოდ არ შეიძლება. მაგრამ თუ თქვენ ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა გაქვთ, ექსპერიმენტები მოაწყეთ 15-20 ჰექტარზე, ხოლო თუ თქვენ ცუდად გამოიყენებთ მთელ მიწებს, ეს მეცნიერება აღარ არის. არ შეიძლება ეს დავუშვათ. გააკეთეთ საჭირო დასკვნები. მეცნიერების ნოვატორებს პარტია მხარს უჭერდა და მუდამ დაუჭერს მხარს. (**ტაში**).

კარავაევოს ინსტიტუტში ამბობენ, არ შეიძლება ძროხების მანქანებით წველაო. თურმე ნუ იტყვით, ძროხას, რომელიც ინსტიტუტის მეურნეობას ეკუთვნის, ესაჭიროება არა მანქანური დამოკიდებულება, არამედ ხელით წველა. მოდით ვკითხოთ ძროხას, დავაყენოთ იგი „თევზიფხურში", მივცეთ კარგი მისატყუებელი, და იგი კუდაბზეკილი გაიქცევა „თევზიფხურისაკენ", მოგვცემს რძეს და არ შეუდგება იმის გარჩევას — სამეცნიერო დაწესებულებაშია იგი თუ ჩვეულებრივ საბჭოთა მეურნეობაში. (**გამოცოცხლება დარბაზში. ტაში**).

## ვასწავლოთ ადამიანებს ყოველივე ახალი, მოწინავე

კიდევ და კიდევ მინდა მიგითითოთ, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობის ნოვატორების — გიტალოვის, მანუკოვსკის, სვეტლიჩნისა და სხვების გამოცდილების უაღრესად ღრმად შესწავლა. მათი გამოცდილება იმით არის ძვირფასი, რომ ისინი ხელით შრომის გამოუყენებლად ამუშავებენ სათოხნ კულტურებს. თქვენს ოლქებშიც ათასობით არიან მოწინავეები, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შესანიშნავი ოსტატები. ასეთი ბრიგადები, რგოლები, ფერმები მუშაობის მოწინავე მეთოდებისა და ხერხების შესწავლისა და დანერგვის სახალხო სკოლებად უნდა გადავაქციოთ.

თქვენს თათბირზე სიტყვა მიეცა მოზარდ თაობას. გამოვიდნენ მოსწავლეები ანატოლი პანჩენკო, ნინა კუზმინა — მეათე კლასის მოწაფე. ეს ჩვენი შესანიშნავი ცვლაა, სასიამოვნოა უსმენდე მათ. ისინი კომუნიზმის დროს იცხოვრებენ. და შეიძლება ვთქვათ: ტყუილად როდი გვიშრომია, ამხანაგებო! აი ახალგაზრდა ცვლა, რომელიც ახალ ცხოვრებაში მიდის, იგი უკვე ახლა იჩენს თავს შრომაში. ოღონდ საჭიროა დავეხმაროთ მას, რომ იგი მტკიცდებოდეს, იზრდებოდეს და უფროსი თაობის ღირსეული ცვლა იყოს.

ამხანაგებო! თქვენთან საბჭოთა მეურნეობების სამმართველოში მუშაობს ამხ. ხუდენკო. მან თავის დროზე ცენტრალურ კომიტეტში გამოგზავნა ბარათი, ძალიან სწორად გააკრიტიკა აღრიცხვის სისტემა საბჭოთა მეურნეობებში და თავის სისტემა შემოგვთავაზა. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ექსპერიმენტისათვის გამოყოფილ იქნა საბჭოთა მეურნეობები, რათა პრაქტიკაში შეგვემოწმებინა ამხ. ხუდენკოს წინადადება.

**ხმა:** ორი საბჭოთა მეურნეობა.

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** საჭიროა დავამთავროთ ექსპერიმენტი და გავაკეთოთ დასკვნები. ამხ. ხუდენკოს მსჯელობასა და წინადადებებში ჯანსაღი მარცვალია. საჭიროა რაციონალურის ფარგლებში გავამარტივოთ აღრიცხვა; გავუადვილოთ მუშაობა საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს. შევამციროთ ზედმეტი საანგარიშო აპარატი და თავიდან ავიცილოთ სახსრების უნაყოფო ხარჯვა, ვზრდიდეთ კადრებს, უფრო ფართოდ

(დასასრული მე-8 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ვნერგავდეთ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს.

მინდა ერთხელ კიდევ გავახსენოთ ჩვენი კადრების პასუხისმგებლობა მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის. ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს ახალი, კითხულობდეს გაზეთებს, ჟურნალებს, სპეციალურ ლიტერატურას და ა. შ. არ დავასახელებ გვარებს, თქვენ კი ნუ იქნებით ცნობისმოყვარენი, მაგრამ გიამბობთ ასეთ ფაქტებს. როცა სამხრეთ ყაზახეთში ვიყავი, მივედი ერთ საბჭოთა მეურნეობაში, ლაპარაკი დავუწყე დირექტორს. უნდა ითქვას, საბჭოთა მეურნეობის კარგი დირექტორია. ვეკითხები: როგორ არის ბარდის საქმე, როგორ ფიქრობთ მის თესვა-მოყვანას. „ამხანაგო ხრუშჩოვ, — მითხრა მან, — გაისად ბარდას ქერთან ერთად დავთესავთ“. ერთი დახედეთ! წიგნიერი კაცია, და აპირებს ბარდა ქერში არეული დათესოს! იგი, ეს დირექტორი, ბარდის თესვა-მოყვანის მოწინავეთა გამოცდილებაზე რომ კითხულობდეს, ამას არ იტყოდა.

უზბეკეთში მებამბეობის ინსტიტუტში მივედი. იქ უკვე მეცნიერმა გამიკეთა მოხსენება ბარდაზე. მითხრა: „ამხანაგო ხრუშჩოვ, ბარდას შვრიაში არეულს დავთესავთ“. აბა რა შეიძლება აქ ითქვას?

მოწინავე ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ ბარდას არ ესაჭიროება საყრდენი კულტურა. ხოლო საქმეში ჩაუხედავი, თუმცა პატივცემული მუშაკები ცდილობენ საწინააღმდეგო დაამტკიცონ და სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან. ერთი სიტყვით, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, თუმცა ისინი მოუცლელი ადამიანები არიან, უნდა იკითხონ სპეციალური ლიტერატურა, რომელიც მათს წარმოებას შეეხება, თვალყური ადევნონ სიახლეებს და ცხოვრების მხარდამხარ იარონ.

ამხანაგებო, მთელ ჩვენს კადრებს მიზნად უნდა დავუსახოთ ახლის, მოწინავის დანერგვა, გამოვიჩინოთ მომთხოვნელობა. ვისაც არა სურს ახალი შეისწავლოს, იგი ვერ უხელმძღვანელებს მეურნეობას, მას, ასე ვთქვათ, თვითონ ცხოვრება გადმოაგდებს უნაგირიდან.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა მრავალმხრივი უნდა იყოს, ყველა ხელმისაწვდომი მეთოდით უნდა წარმოებდეს. მე ვფიქრობ, რომ მაღალმოსავლიანი კულტურების პროპაგანდისათვის საჭიროა შეიქმნას მხატვრული პლაკატები, გაუკეთდეს მათ კარგი, შინაარსიანი წარწერები, ამისათვის მიზიდულ იქნან ჩვენი მწერლები. მაიაკოვსკი პლაკატებისათვის წერდა ლექსებს, დემიან ბედნი წერდა იგავ-არაკებს. სამოქალაქო ომის დროს მან დაწერა კარგი ჯარისკაცული სიმღერა: „როგორ გამაცილა მშობელმა დედამ“. ამ სიმღერის სიტყვები გულში სწვდებოდა წითელარმიელებს და განუმტკიცებდა იმის შეგნებას, რომ საჭიროა ბრძოლა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, თორემ ძველი წყობილება დაბრუნდებაო.

თქვენ ალბათ გახსოვთ ამ სიმღერის შესანიშნავი სიტყვები:

დავემშვიდობე მშობელ დედას
მე სახლის კართან,
დავემშვიდობე ნათესავებს;
ვინც კი მიყვარდა.
ო, თუ ღმერთი გწამთ, ნუ იდარდებთ
ჩემზე ნურავინ,
არ გამაგონოთ არც ჩივილი,
არც სამდურავი,
დოყლაპიობას ნუ დაიწყებთ
ახლა ნურცერთი,
რომ არ დაკარგოთ არც მოსკოვი
და არც რუსეთი!
თუ დაგიბრუნდათ უკუღმართი
ძველი დროება,
კვლავ წაგერთმევათ მიწა-წყალი,
ლაღი ცხოვრება.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ახლა კომუნიზმს ვაშენებთ, კულტურის სხვა დონე გვაქვს. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენც გვესაჭიროება შთაგონება, გვესაჭიროება კარგი სიტყვა, კარგი მოწოდება. ჩვენ მხარს უნდა ვუჭერდეთ პატიოსან, მოწინავე მშრომელ ადამიანებს და ვამხილებდეთ ზარმაცებსა და მუქთახორებს, ყველას, ვინც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. ლექსები, იგავ-არაკები, მოთხრობები უნდა ემსახურებოდნენ ადამიანებს კომუნიზმის მშენებლობის დიად და კეთილშობილურ საქმეში.

როცა უკრაინაში ვმუშაობდი, ხშირად მივმართავდი ამხ. ოლეინიკს. მახსოვს, მთელ რიგ ოლქებში აგვიანებდნენ სიმინდის აღებას. მას ვთხოვე დაეწერა ფელეტონი.

მან დაწერა კარგი ფელეტონი ოდესის ოლქის შესახებ. მხატვრებმა ფელეტონს კარიკატურა დაურთეს. ამან ძლიერი ზემოქმედება მოახდინა იმათზე, ვისაც სიმინდის აღება უნდა დაეჩქარებინა.

სატირა, ამხანაგებო, თავის საქმეს აკეთებს. და ამიტომ სასარგებლოა ცოტა სასაცილოდ ავიგდოთ, დავგესლოთ ისინი, ვინც დაუძაბავად შრომობს. ეს გამოაცოცხლებს კანს, გაწმენდს ფორებს, რომ კანმა ისუნთქოს. ვფიქრობ, რომ, მაგალითად, ამხ. მიხალკოვი და ბევრი სხვა ჩვენი სატირიკოსი მწერალი ხალისით მოჰკიდებს ხელს თავის ბასრ კალამს და გაბედულად ამხილებს სოფლად მუშაობის ნაკლოვანებებს.

საჭირო იქნება სატირული კინოჟურნალების გამოშვება. ოდესღაც ჩვენ რამდენიმე ჟურნალი გამოვუშვით მოსკოვის ოლქში. ამ საქმეში ჩავაბით საშა ბეზიმენსკი. მე კიდევ ძველებურად, კომკავშირულად ვუწოდებ მას ასე. ძალიან ძლიერი სატირა იყო. ეს კარგი საქმეა, და ახლა შეიძლება განვაგრძოთ იგი. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

ამხანაგებო! მე მივიღე საბჭოთა მეურნეობა „ლენინის გზის“ მე-5 ბრიგადის ტრაქტორისტების ამხანაგების მურატოვის, მეშჩერიაკოვისა და ვასილიევის წერილი. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ზუბკოვი აქ ესწრება. აი რაზე წერენ ისინი:

„ძალიან გვიმძიმს ამ სტრიქონების დაწერა, მაგრამ იძულებული ვართ გავაკეთოთ ეს, რადგან გვიყვარს ჩვენი, ტრაქტორისტთა, პროფესია და მშობლიურ სახლად მიგვაჩნია ყამირი. სამწუხაროდ, ცელინოგრადის ოლქის კურგალჯინოს რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ლენინის გზაში“, სადაც ჩვენ ვშრომობთ, მექანიზატორებისათვის შექმნილია ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებლობას არ გვაძლევენ ნორმალურად ვიმუშაოთ ამ მეურნეობაში.

თვითონ განსაჯეთ. ახლა ჩვენთან ზამთარია, მინდვრები თოვლით არის გადათეთრებული, საერთო საცხოვრებელში კი, სადაც ჩვენ დაგვაბინავეს, სიცივეა. ღუმელი ხრჩოლავს და არ ათბობს, კედლები შეულესავია, კარები დამტვრეულია...

სასადილოში უგემურ საჭმელს ამზადებენ, კარტოფილიც კი იშვიათად არის ხოლმე. და ეს ყამირ მიწებზე, სადაც საქმის უნარიანად დაყენებისას შეიძლება კარტოფილის, ბოსტნეულის მაღალი მოსავლის მიღება!

საბჭოთა მეურნეობაში კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენთან განყოფილებაში რადიო და წიგნებიც კი არა გვაქვს. და იმას, რაც ამ ქვეყნად ხდება, შევიტყობთ ხოლმე გაზეთებიდან, რომლებიც იშვიათად მოდის განყოფილებაში.

ჩვენ გადავწყვიტეთ მუდმივ სამუშაოდ დავრჩეთ საბჭოთა მეურნეობაში. ბიჭები ყველანი უცოლოები ვართ, არავითარი მუშაობისა არ გვეშინია. მაგრამ ერთხელ მოვიდა განყოფილების მმართველი და გვითხრა:

— რაკი ოჯახები არა გაქვთ, აქ რა უნდა აკეთოთ. შეგიძლიათ ანგარიში გაასწოროთ.

საწყენი იყო ასეთი სიტყვების მოსმენა. იმისათვის კი არ წამოვედით ყამირზე, რომ ფრინველებივით თბილ მხარეებში გავფრინდეთ სიცივის დადგომისთანავე. როგორ, უცოლოები რომ ვართ, ყამირი ჩვენთვის დედინაცვალია თუ?

ჩვენი ცხოვრების შესახებ მივწერეთ ცელინოგრადში, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიგვიღია. დაგვეხმარეთ დავრჩეთ საბჭოთა მეურნეობაში, მოვაგვაროთ ცხოვრების პირობები და დასაჯეთ უსულგულო ადამიანები, რომლებზეც ვერ იმოქმედა ჩვენმა თხოვნამ“.

არ შეიძლება ადამიანებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულება. რა მოხდა, რომ ბიჭები უცოლოები არიან. ისინი დღეს უცოლოები არიან, შემდეგ ცოლიანები იქნებიან. ეს თქვენთვის მათრახია, ამხ. ზუბკოვ. **(მხიარული გამოცოცხლება).** ადამიანებისადმი მეტ გულისხმიერებას უნდა ვიჩენდეთ.

საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებაში დიდ როლს ქალები ასრულებენ. მაგრამ ჩვენ, ამხანაგებო, უნდა ვიზრუნოთ მათთვის. ეს ზრუნვა იმით უნდა გამოიხატოს, რომ იყოს საბავშვო ბაგები და საბავშვო ბაღები. მაშინ ქალი-დედა ხალისით წავა სამუშაოდ ფერმასა და მინდორში. მას თავისი ბავშვების ჯავრი არ ექნება; ისინი კარგ პირობებში არიან, მათ მეთვალყურეები ჰყავთ. საბჭოთა მეურნეობებში უნდა შენდებოდეს სკოლები, სასადილოები, სამრეცხაოები. თუ ამას გავაკეთებთ, დიდი რაოდენობით გავათავისუფლებთ ცხოველმოქმედ, ცხოველუნარიან ადამიანებს ოჯახური მეურნეობისაგან, ჩავაბამთ მათ ნაყოფიერ შრომაში. დიასახლისები სამუშაოდ წავლენ საბჭოთა მეურნეობებში და დიდ დახმარებას გაუწევენ, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.

აქ თათბირზე გამოსულები ლაპარაკობდნენ საბჭოთა მეურნეობების მუშებისაგან ძროხების შესყიდვაზე, იმაზე, რომ მუშის პირად მეურნეობაში ძროხა საჭირო არ არის. მისი მოვლა, საკვებისათვის ზრუნვა ადამიანს ბევრ დროს ართმევს, ხელს უშლის ძირითად მუშაობას საბჭოთა მეურნეობაში. მე ვფიქრობ, რომ ეს სწორია. მაგრამ, ამხანაგებო, ძროხებს რომ შეისყიდით, საჭიროა აუცილებლად უზრუნველვყოთ მუშები რძით. საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირულმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ იმისთვისაც, რომ მუშებისათვის კოლექტიური ბოსტნები მოაწყონ. მე ვიტყოდი არა კოლექტიური, არამედ საბჭოთა მეურნეობების ბოსტნები, რომლებშიც შეიძლება ტექნიკის გამოყენება, იაფი ბოსტნეულის მოყვანა და შემდეგ თვითღირებულების ფასებში მიყიდვა მუშებისათვის.

ამხანაგებო, მთავარია კადრებთან მუშაობა. ადამიანები კარგი გყავთ, ისინი აქ გულის მოწოდებით ჩამოვიდნენ. პარტიის რაიონული, საოლქო კომიტეტები უნდა დაეხმარონ ამ ადამიანებს. არ შეიძლება დავადგეთ კადრების მასობრივი შეცვლის გზას. ამ გზას თუ დაადგებით, ძირს გამოუთხრით საბჭოთა მეურნეობებს. რა თქმა უნდა, იქ, სადაც ხელმძღვანელები უსუსურნი აღმოჩნდებიან, ისინი უნდა შეიცვალონ. მაგრამ მთავარი, ვიმეორებ, ადამიანების აღზრდაა. მე ვფიქრობ, რომ უიმედო ადამიანები არ არიან. საჭიროა იმუშაოთ ადამიანებთან, და დაინახავთ, თუ რა უნარი შესწევს ადამიანს, რომელმაც შესაძლოა შეცდომაც დაუშვა, მაგრამ სურს გამოსწორდეს, იგი თავს გამოიჩენს. **(ტაში).**

დიდი ორგანიზატორული მუშაობა მოგელით. თქვენში მოეწყობა თათბირები, სემინარები. მინდა გაგახსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები.

„...გადააქციეთ ყრილობები და თათბირები არა მიტინგობანას ორგანოებად, — ამბობდა იგი, — არამედ სამეურნეო წარმატებათა შემოწმების ორგანოებად, ორგანოებად, სადაც ჩვენ შეგვეძლება ჯეროვნად ვსწავლობდეთ სამეურნეო მშენებლობას“.

ამხანაგებო! თათბირი მუშაობას ამთავრებს. თქვენ დაბრუნდებით თქვენს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. ძალიან ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი.

1961 წელს ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა სერიოზული ნაკლოვანებანი დაუშვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში. რესპუბლიკამ თავი ვერ გაართვა მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანათა გადაჭრას, ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა. ყაზახეთი ვალში დარჩა ჩვენი ქვეყნის წინაშე.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველამ, რესპუბლიკის ხელმძღვანელებით დაწყებული და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებით, აგრონომებით, ბრიგადირებით, მუშებით დამთავრებული, სწორი დასკვნები გააკეთოს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წლის გაკვეთილებიდან.

კადრების დროულად სწავლებას, თესლის მომზადებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტს — მთელ ამ საყოველდღეო საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის წინაშე დასახული დიდი ამოცანების განხორციელებისათვის. ყაზახმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის უაღრესად აქტიური მხარდაჭერით, აითვისა ათეულ მილიონობით ჰექტარი ახალი მიწები. ეს დიდი რევოლუციური ნაბიჯი იყო რესპუბლიკის მიწათმოქმედებისა და მთელი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ყაზახეთს ყველა მოძმე რესპუბლიკა ეხმარებოდა. ახლა ყაზახეთი მართლა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმობის რესპუბლიკა გახდა. **(ტაში).** ყველა ეს ხალხი და ეროვნება ერთსულოვნად, როგორც ერთიანი ოჯახი, მუშაობს ქარხნებსა და ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

ახლა თქვენ უნდა გადადგათ ახალი რევოლუციური ნაბიჯი: მარცვლეულის წარმოების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობა, მისცეთ ქვეყანას მილიონობით ტონა ხორცი, რძე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ეს ძნელი ამოცანაა, და მის გადასაწყვეტად უნდა წარმართოთ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, რესპუბლიკის ყველა მშრომელთა ღონისძიებანი.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ყაზახეთის პარტიული ორგანიზაცია ამ პასუხსაგებ პერიოდში გამოიჩენს თავისი მოვალეობის ღრმა გაგებას, სათავეში ჩაუდგება მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დიად ბრძოლაში.

მეყამირეებმა დიდი გმირობა ჩაიდინეს — ახალი მიწები აითვისეს. პარტია დარწმუნებულია, რომ ისინი ასეთსავე დიდ გმირობას ჩაიდენენ ყამირის განვითარების ახალ ეტაპზე და ყამირის საბჭოთა მეურნეობებს გადააქცევენ სანიმუშო სოციალისტურ მეურნეობებად, რათა მოგვცენ მარცვლეული და მოგვცენ მეცხოველეობის პროდუქტები — ხორცი, რძე, მატყლი. ეს თქვენი გადამწყვეტი წვლილი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

# ზემოქედელი შუქურა

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თბილისში**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე მოიწვიეს ზემოქედელი ქალიშვილი ქეთევან ქიმოსტელი.

განა ისეთი რა გავაკეთე, რომ რესპუბლიკურ თათბირზე მეძახიანო, გაიფიქრა ქალიშვილმა. ეს კითხვა მისცა წითელწყაროს რაიონის ხელმძღვანელებსაც.

ბევრი, ბევრი კარგი და მისაბაძი საქმე გააკეთა ქეთევანმა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დრო როდი გააცდინა, კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა. სულ მალე წარმატებას მიაღწია. წელს 4.000 კვერცხმდებელ ქათამს უვლიდა გამრჯე ქალიშვილი. მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება სასახელოდ გაანაღდა. 815.000 ცალი კვერცხი მისცა სამშობლოს. წლის ბოლომდე კიდევ მიიღებს 5.000 კვერცხს.

ვისწავლოთ და ვიშრომოთ კომუნისტურად! — ამ დევიზით შრომობს ზემოქედელი ქალიშვილი. სულ მალე იგი სწავლას დაუსწრებლად განაგრძობს. ამასთან სხვასაც ეხმარება, ხალისით უზიარებს თავის გამოცდილებას.

• • •

**სურათზე:** წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის მოწინავე მეფრინველე ქეთევან ქიმოსტელი.

ტექსტი და ფოტო ქ. ხახუტაშვილისა.

# ნათელი პროგრამა

## საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო და ცხინვალის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებაზე

**ცხინვალი.** (საკ. კორ.). პარტიული პრინციპულობისა და ნაკლოვანებათა მხილების ნიშნით მიმდინარეობდა საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო და ცხინვალის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა და განიხილა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ქოზაევის მოხსენება „სკკპ XXII ყრილობის შედეგებისა და ოლქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში ოლქის 500-მდე მოწინავე ადამიანი შეიკრიბა. აქ არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შუქურები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები. ისინი მოსულან აქ იმისათვის, რომ იმსჯელონ კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის მიერ დაყენებულ უმნიშვნელოვანეს ამოცანებზე და დასახონ მათი შესრულების კონკრეტული გზები.

მომხსენებელი და კამათის მონაწილე კომუნისტები ლაპარაკობდნენ იმ დიდ საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვია ოლქის მშრომელებში პარტიის XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა.

ოლქმა პირნათლად გაანაღდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი. წელს მიღებულია სიმინდის ორჯერ მეტი მოსავალი, ვიდრე წინა წლებში. ბევრი მოწინავე მესიმინდისათვის ჰექტარზე 100-150 ცენტნერი მოსავლის მიღება ზღვარი არ არის. კარგად იშრომეს მებაღეებმა და მეჭარხლეებმა.

მაგრამ პარტიული აქტივის კრებას მხედველობიდან არ გამორჩენია ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში გვხვდება. კრების მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მეცხოველეობაში. საკვები ბაზისა და პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის შეუფასებლობის შედეგად თავი იჩინა სერიოზულმა ჩამორჩენამ ამ დარგში. ოლქი წველადობის დავალებებს ვერ ასრულებს. ზოგიერთ რაიონში სულადობამ იკლო. არის ბერწიანობისა და მოუვლელობის შედეგად პირუტყვის სიკვდილის შემთხვევები. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ირღვევა მარცვლეული კულტურების თესვის ვადები. პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან მოწინავეთა მდიდარი გამოცდილების დანერგვისათვის.

✦

ცხინვალის ზოგიერთი საწარმო (ვიბრომანქანებისა და მომინანქრებული სადენების ქარხნები) პირნათლად ასრულებს დავალებებს და სისტემატურად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, მაგრამ ქალაქის საწარმოთა შორის ჩამორჩენილებიც არიან. დავალებებს ვერ ასრულებენ ხე-ტყის კომბინატი და № 1 აგურის ქარხანა. იმის გამო, რომ საწარმოები და კომუნალური საცხოვრებელი სახლები ცუდად მომამზადეს ზამთრისათვის, ბევრი ქარხანა და საცხოვრებელი სახლი გაუთბობელი დარჩა. ვერა და ვერ მოგვარდა მშენებლობის საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა გ. კულუმბეგოვმა თავის გამოსვლაში განაცხადა:

— ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა 1955 წელს უნდა დამთავრებულიყო. მას შემდეგ ინსტიტუტმა ექვსი ნაკადი გამოუშვა და საერთო საცხოვრებელი ჯერაც მზად არ არის. ჩვენი დროის უდიდესი დოკუმენტი — მშობლიური კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა — გრანდიოზულ ამოცანებს აყენებს ბინათმშენებლობის დარგში. თქვენ კი ცუდად მუშაობთ, ცხინვალელო მშენებლებო!

პარტიული აქტივის კრების მონაწილენი ერთსულოვნად იწონებენ ღონისძიებებს, რომელიც განახორციელა სკკპ ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა ძველი კომუნისტი, პენსიონერი ნ. შაველოხოვი. მან დაასახელა სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მტკიცე მებრძოლნი, პატიოსანი კომუნისტები, რომლებიც ბერიას ალვირახსნილი, ავანტიურისტული მოქმედების მსხვერპლნი გახდნენ. დღე-პულთა რიცხვში არიან პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები ა. ჯატიევი, ს. სანაკოევი, რ. ქოზაევი, ს. კულაევი და სხვები.

კრების მონაწილენი ერთხმად მოითხოვდნენ უპასუხისმგებლობის, ბიუროკრატიზმის, თვითდამშვიდების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი დიდ ამოცანებს აყენებენ პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ის, რაც დღეს გაკეთდა, ხვალ საკმარისი არ იქნება. კომუნიზმი მოითხოვს მილიონთა თავდადებულ შრომას, ადამიანებში შრომითი ჩვევების აღზრდას, სიკეთის, სიუხვის შექმნას.

ამის შესახებ პარტიული აქტივის კრებაზე დაწვრილებით ლაპარაკობდა თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, XXII ყრილობის დელეგატი ამხ. ი. ხუბაევი.

— მე წილად მხვდა ბედნიერება, — განაცხადა მან, — მონაწილეობა მიმეღო პარტიის ისტორიული XXII ყრილობის მუშაობაში. ბევრი რამ ვისწავლე კომუნისტთა ამ დიდ ფორუმზე. რაც აქამდე გავაკეთე, დღეისათვის საკმარისად აღარ მეჩვენება. ჩემმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა მომავალ წელს 350 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მიიღოს 60 ცენტნერი სიმინდი.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე მესიმინდე გ. ნასყიდაშვილი, ქვაისის მაღაროთსამმართველოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი ი. ბეკოევი, მწერალი გ. ძუგაევი, კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანი ი. ენალდიევი, ცხინვალის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. მამისაშვილი და სხვები. ისინი ყველანი ერთსულოვნად იწონებენ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს. მათი გამოსვლები გამსჭვალული იყო იმის ღრმა რწმენით, რომ სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მტკიცედ არის დარაზმული ჩვენი მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ხირსაძემ. მან კრების მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა პარტიის XXII ყრილობის მასალების ღრმად შესწავლის, ადამიანთა კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების, სამშობლოს საკეთილდღეო შრომის გაძლიერების საკითხებზე.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ერთსულოვნად იწონებს პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და პირობას აძლევს ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს მათი განხორციელებისათვის.

ი. თედიაშვილი.

## კულტურის უნივერსიტეტი კოლმეურნეობაში

მახარაძე. (საკ. კორ.). ლიხაურის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სახლთან ამ დღეებში გაიხსნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი. აქ სოფლის ინტელიგენციასთან ერთად გაერთიანებული არიან ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები, მესიმინდეები, საზოგადოებრივი მეცხოველეობის მუშაკები.

მსმენელები დიდად ნასიამოვნები დარჩნენ პირველი მეცადინეობით, რომელზეც მოისმინეს პროფესორ ა. მახარაძის ლექცია ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

# თემები ლექციებისა და მოხსენებებისა სკკპ XXII ყრილობის მასალებზე

## რეკომენდებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკათა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მიერ

### I.

1. სკკპ XXII ყრილობა კომუნიზმის მშენებელთა ყრილობაა
2. სკკპ XXII ყრილობის საერთაშორისო მნიშვნელობა
3. პარტიის XX ყრილობის მიერ შემუშავებული ლენინური გენერალური ხაზის გამარჯვება
4. სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და საბჭოთა კავშირის შესვლა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში
5. სკკპ პროგრამა თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მანიფესტია
6. პარტიის ახალი პროგრამა დიდმნიშვნელოვანი წვლილია მეცნიერული კომუნიზმის განვითარებაში
7. კომუნიზმი და კაცობრიობის პროგრესი

### II.

1. კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა თანამედროვე ეპოქის ძირითადი შინაარსია
2. სოციალიზმის სისტემის ძლიერების ზრდა, მისი გადაქცევა მსოფლიო განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად
3. სოციალისტური სისტემისა და კაპიტალისტური სისტემის მშვიდობიანი შეჯიბრება თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ღერძია
4. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ახალი ეტაპი და მისი დამახასიათებელი ნიშნები
5. კოლონიალიზმის მსხვრევა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი.
6. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ჩვენი დროის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალაა
7. რევიზიონიზმთან, დოგმატიზმთან და სექტანტობასთან ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის აუცილებელი პირობაა
8. ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის მთავარი შინაარსია

### III.

1. კომუნიზმში სოციალიზმის გადაზრდის ძირითადი კანონზომიერებანი
2. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მთავარი ეკონომიური ამოცანაა
3. შვიდწლიანი გეგმის შესრულების გადამწყვეტი მნიშვნელობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში
4. ელექტროფიკაცია კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ღერძია
5. შრომის ნაყოფიერების ზრდა მთავარია კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში
6. ტექნიკური პროგრესის მაქსიმალური დაჩქარება საერთო-სახალხო ამოცანაა
7. დაგეგმვა და მეურნეობის გაძღოლა — კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნათა დონეზე
8. კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება, ხელგაშლილობის წინააღმდეგ ბრძოლა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა
9. ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოციალისტური სოფლის მეურნეობა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა
10. ყამირის ათვისება საბჭოთა ხალხის დიადი გმირობაა
11. სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გზები
12. მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები
13. სიმინდის, ბარდისა და საკვები პარკოსნების ფართოდ დანერგვა უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მიწათმოქმედების განვითარებაში
14. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვა კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი ძირეული ამოცანაა
15. მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება — ყველა მშრომელთ!
16. ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალაა
17. მატერიალური და მორალური ფაქტორების მნიშვნელობა კომუნიზმის ეკონომიკის მშენებლობაში
18. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები მშრომელთა საარსებო დონის ამაღლების კომუნისტური გზაა
19. პარტიის პროგრამა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ

### IV.

1. სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობიდან კომუნისტურ ურთიერთობაზე გადასვლის გზები
2. სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის ერთიან კომუნისტურ საკუთრებად განვითარება
3. კოლმეურნეობა კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის
4. მშრომელ კლასებს შორის ზღვარის წაშლის პროცესი კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში
5. ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებით განსხვავებათა დაძლევა
6. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი კომუნიზმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალაა
7. მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოს გადაზრდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ
8. მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში
9. საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარება კომუნისტურ თვითმმართველობაზე თანდათანობით გადასვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა
10. საზოგადოებრიობის როლის ამაღლება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში
11. კომუნიზმი უმაღლესი ეტაპია კაცობრიობისა და ადამიანის პიროვნების განვითარებაში
12. ეროვნული ურთიერთობის განვითარება გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში
13. სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცება საბჭოთა ადამიანების წმიდა ვალი და ინტერნაციონალური მოვალეობაა
14. კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი
15. კომუნიზმის მშენებელთა პრინციპია: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს
16. სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთიანობა კომუნისტურ აღზრდაში
17. კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა ახალი ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი მთავარი პირობაა
18. კომუნისტური კულტურა ახალი, უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის სულიერ განვითარებაში

### V.

1. კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ავანგარდია
2. სკკპ მზარდი როლი კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში
3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მეცნიერული კომუნიზმის პარტიაა
4. პიროვნების კულტის მავნე შედეგების ლიკვიდაციისა და ანტიპარტიული ჯგუფის განადგურების ისტორიული მნიშვნელობა
5. პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენა და შემდგომი განვითარება
6. პარტიის იდეოლოგიური მუშაობა კომუნისტური მშენებლობის პერიოდში
7. კადრების განახლება, ახალ მუშაკთა შერჩევა და აღზრდა პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმაა
8. სკკპ ახალი წესდება კომუნისტური პარტიის მძლავრი ორგანიზაციული იარაღია
9. XXII ყრილობა პარტიის მონოლითური ერთიანობისა და შეკავშირების მკაფიო დემონსტრაციაა
10. კომუნიზმის აშენება ხალხის, მისი ენერგიის, მისი გონების საქმეა
11. საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!

# ამბები, ფაქტები, ცნობები

## ჩვენი სტუმრები

ბრაზილიის ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მოწვევით იმყოფება, უკვე იყო მოსკოვში, რიგაში, კიევსა და სოჭში და 26 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: პაულო სილვეირა — რიო-დე-ჟანეიროს გაზეთ „ულტიმა ორას" რედაქტორი (დელეგაციის მეთაური), ჟოზუე გიმარაენსი — ბრაზილიის მთავრობის დეპეშათა სააგენტოს „აჟენსია ნასიონალის" დირექტორი, ჟანოს ლანგელი — რიო-დე-ჟანეიროს გაზეთ „კორეირო და მანიას" საერთაშორისო მიმომხილველი, ფრედერიკო ბრანკო — გაზეთ „ესტადო დე სან-პაულოს" საერთაშორისო განყოფილების გამგე, დანიელ კაეტანო და სილვა — გაზეთ „გლობის" თანამშრომელი, ზიტელმან სანტოს დე ოლივა — ქალაქ სალვადორის გაზეთ „ჟორნალ დო ბაიას" დირექტორი, ჟუსტინო მარტინსი — „ჟურნალ „მანშეტეს" თანამშრომელი, ჟორჟე მალაკიას დო კოუტო — გაზეთ „ფოლია დო მინასის" თანამშრომელი და კლებერ ბორჟეს დე ასიზი — გაზეთ „კორეის დო პოვოს" თანამშრომელი.

აეროპორტში ჩამოსულთ შეხვდნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრები — გაზეთ „თბილისის" რედაქტორი ნ. ჯაში, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი ა. ბლრციანი, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორი ო. ეგაძე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ვ. მებუკე, რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დელეგაციის მეთაურმა პაულო სილვეირამ მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის, სიხარული გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლის გამო.

გუშინ ბრაზილიელმა სტუმრებმა დაიწყეს რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების გაცნობა. დილით ისინი ვიზიტად იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ვ. კუპრაძესთან.

(საქდესი).

• • •



სურათზე: ბრაზილიელი ჟურნალისტები თბილისში.

ფოტო გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## პიანისტ ე. ვირსალაძის წარმატება

მოსკოვში გაიმართა პიანისტთა, მევიოლინეთა, ვიოლონჩელისტთა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის შესარჩევი ორი ტური.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პირველ შესარჩევ ტურში მონაწილეობა მიიღო ქართველმა პიანისტმა ელისო ვირსალაძემ. მან საუკეთესოდ შეასრულა გამოჩენილი კომპოზიტორების ნაწარმოებები და ერთხმად გავიდა მეორე ტურში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

მეორე ტურში ე. ვირსალაძემ შეასრულა შოსტაკოვიჩის, ლისტის, ჩაიკოვსკის, პროკოფიევის ნაწარმოებები და მესამე დასკვნით ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მესამე ტურში დაუკრავს აგრეთვე ქართველი მუსიკოსი მარინე გოგლიძე-მდივანი.

დასკვნითი ტური გაიმართება 1962 წლის თებერვალში მოსკოვში, რომელიც გამოავლენს პიანისტთა, მევიოლინეთა და ვიოლონჩელისტთა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის მონაწილეებს.

## ტიან-შანის გმირების ხსოვნას

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩმა ტურისტებმა და მოქანდაკეებმა ამ დღეებში ხვამლის მთის უმაღლეს მწვერვალზე საზეიმო ვითარებაში გახსნეს ძეგლი ტიან-შანის გმირების ხსოვნის აღსანიშნავად.

ხვამლის მთაზე აღმართული ძეგლი სიმბოლურია, მასზე გამოსახულია ალპინისტური საჰურველი და კლდის ქიმზე მჯდომი არწივი, რომელიც უფსკრულებს გადაჰყურებს.

ძეგლზე ამოკვეთილია წარწერა: „გამარჯვების პიკზე" ტრაგიკულად დაღუპულ სახელოვან ქართველ ალპინისტებს ი. გაბლიანს, ჯ. მეძმარიაშვილს და თ. კუხიანიძეს — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი ტურისტებისაგან".



თბილისში მიმდინარეობს ვეფხვების მწვრთნელის რსფსრ დამსახურებული არტისტის მ. ნაზაროვას გასტროლები. ეს შესანიშნავი უშიშარი მსახიობი ჩვენში ჩამოვიდა მას შემდეგ, რაც პარიზში, ბერლინში, თეირანში, იმოგზაურა.

სახელგანთქმული მწვრთნელის გასტროლები დიდი წარმატებით სარგებლობს. მაყურებლები მას მქუხარე ტაშით აჯილდოებენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# სიყვარულის სიმღერები



ს. ცვაიგი.

### სტეფან ცვაიგის დაბადების 80 წლისთავის გამო

გერმანულ და რუსულ ენებზე გამოცემულ ცვაიგის ნაწარმოებებს, ქართულად დაბეჭდილ ცალკეულ თარგმანებს ყოველთვის დიდი მონდომებით ეტანებოდა და ეტანება ქართველი მკითხველი. მწერლის ქმნილებებმა ბევრი პატივისმცემელი გაიჩინა საქართველოში. მათ შორის იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მაშინდელი სტუდენტი გრიგოლ ფიცხელაური.

წაკითხული ნაწარმოებებიდან ქართველ სტუდენტს განსაკუთრებით მოსწონდა „გრძნობათა ჩქროლვა" და სურდა თავისი აზრი გაეზიარებინა სტეფან ცვაიგისათვის, მაგრამ მწერლის მშობლიური ენა არ იცოდა.

სტუდენტმა გადაწყვიტა ავსტრიელი მწერლისადმი პატივისცემა ძღერადი მელოდიით გამოეთქვა. ლექციებისაგან თავისუფალ დროს იგი ეუფლებოდა ნოტების წერას, ხშირად მიდიოდა სახელმწიფო კონსერვატორიაში კონსულტაციის მისაღებად. დიდი ხნის განმავლობაში შერჩეული მელოდია ქაღალდზე გადაიტანა. ასე შეიქმნა მისი ქორეოგრაფიული ესკიზი „გრძნობათა ჩქროლვა", რომელიც 500 ეგზემპლარი ტირაჟით გამოვიდა. მუსიკისმოყვარულები გაეცნენ თვითნასწავლი მუსიკოსის პირველ ქმნილებას, ოცი ცალი კი ფოსტამ თვით ცვაიგთან მიიტანა ზალცბურგში, კაპუცინბერგის ქუჩაზე.

ორი კვირაც არ გასულიყო, რომ ფიცხელაურმა ავსტრიიდან მიიღო ასეთი შინაარსის წერილი:

„დიდად პატივცემულო ჰერ!

თქვენ მიერ გამოგზავნილი მუსიკალური ნაწარმოების მიღებამ დიდი სიხარული მომგვარა. მაგრამ ეს რომ ასე შორს და ახალგაზრდა კაცის ხელით გაკეთდა, უფრო ძვირფასს ხდის ამ საჩუქარს.

მე ყოველთვის ვოცნებობ ერთხელ მაინც მოვხვდე საქართველოში, შინაგანად დაბადებული სურვილი კი ყოველთვის განხორციელდება. ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს საშუალება მომეცეს მოულოდნელად ჩამოგართვათ ხელი და გიამბოთ როგორი სასიხარულო იყო ჩემთვის თქვენი ამანათი.

ნება მიბოძეთ დღეს გიპასუხოთ ერთი პატარა წიგნით.

გულწრფელად თქვენი ერთგული სტეფან ცვაიგი".

ამ ბარათის მიღებიდან სამ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა...

სტეფან ცვაიგის წერილთან ერთად ამჟამად ღვაწლმოსილი პროფესორი გრიგოლ ფიცხელაური სასოებით ინახავს ავსტრიელი მწერლის „პატარა ქრონიკებს", რომლის წინა ფურცელზე ავტორს საკუთარი ხელით დაუწერია: „გულითადი მადლობით. სტეფან ცვაიგი"...

ი. ჯავახიშვილი.



ნოემბერი გაგრაში.

ფოტოეტიუდი ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

27 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს გაუგზავნა შემდეგი განცხადება:

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების სსრ კავშირის საელჩოს ყურადღება მიაქციოს ქვემო აღნიშნულს:

კომპეტენტურმა საბჭოთა ორგანოებმა დაადგინეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტურისტები ადოლფ ვერნერი, 1910 წელს დაბადებული, და ჰერმინა ვერნერი, 1916 წელს დაბადებული, რომლებიც ტურისტულ მოგზაურობას ეწეოდნენ ავტომანქანით საბჭოთა კავშირში, აგროვებდნენ სადაზვერვო ცნობებს.

მიმდინარე წლის 2 სექტემბერს ცოლქმარ ვერნერებს დანაშაულზე წაასწრეს ჯარის ნაწილის განლაგების რაიონში კიევის მახლობლად. ამასთან მათ აღმოაჩნდათ ვიზუალური დაზვერვის წარმოების ტექნიკური საშუალებანი და საიდუმლო დამწერლობის საშუალებანი.

გამოძიების მასალებით დადგენილია, რომ ადოლფ ვერნერი 1960 წლის აგვისტოში გადაიბირა ამერიკის დაზვერვის თანამშრომელმა ვინმე ალ ჯონსონმა (იგივე ბაუერი). სახსრებით, რომელიც ამერიკის დაზვერვისაგან მიიღო ჯონსონის მეშვეობით, ვერნერი მოამზადეს სსრ კავშირში გასამგზავრებლად სადაზვერვო დავალების შესრულების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო, დავალების შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების სსრ კავშირის საელჩოს ყურადღებას მიაპყრობს ამერიკის სადაზვერვო ორგანოების დაუშვებელ მოქმედებას და მტკიცედ მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა შეწყდეს ტურიზმის გამოყენება ჯაშუშური მიზნით სსრ კავშირის წინააღმდეგ".

## ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის აქტივის კრებები

პრაღა, 25 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

გუშინ აქ გაიმართა კომუნისტთა აქტივის სრულიად საარმიო კრება. მოხსენებანი სკკპ XXII ყრილობის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის შესახებ და იმ ზოგიერთი ამოცანის შესახებ, რომლებიც დასახული აქვს ჩეხოსლოვაკიასა და არმიას, გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში კრების მონაწილეებმა გამოთქვეს მზადყოფნა საბჭოთა არმიასა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების სხვა არმიებთან ერთად უზრუნველყონ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშვიდობიანი მშენებლობა.

23 ნოემბერს ა. ნოვოტნი გამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომუნისტთა აქტივის კრებაზე.

## ჰონკა უარს ამბობს...

ჰელსინკი, 25 ნოემბერი. (საკდესი). 24 ნოემბერს გვიან საღამოს მემარჯვენე ბლოკის პრეზიდენტობის კანდიდატმა ო. ჰონკამ განაცხადა, რომ უარს ამბობს დაასახელოს თავისი კანდიდატურა ფინეთის პრეზიდენტის პოსტზე, რადგან მიაჩნია, რომ „ახლანდელ მდგომარეობაში" ამას „მოითხოვს სამშობლოს ინტერესები". ჰონკამ ეს გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც გაიმართა კოალიციური პარტიის გამგეობის, ფინეთის სახალხო პარტიის აღმასკომისა და შვეციის სახალხო პარტიის ცენტრალური გამგეობის სხდომები.

ჰონკას გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ფინეთის სახალხო პარტიის აღმასკომი აცხადებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ გააერთიანოს პარტიის მთელი ძალები ახლანდელი პრეზიდენტის ხელახალი არჩევის მხარდასაჭერად. „ჩვენ, — ნათქვამია განცხადებაში, — ვიმუშავებთ იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ხაზის ურღვევი სტაბილობა, აგრეთვე ფინეთის საზოგადოების შინაგანი ძალები". იმასთან დაკავშირებით, რომ ჰონკამ უარი თქვა დაასახელოს თავისი კანდიდატურა, დღეს სასწრაფოდ მოწვეულია კოალიციური პარტიის საბჭოსა და შვეციის სახალხო პარტიის ცენტრალური გამგეობის სხდომები.

## განის პირველი უნივერსიტეტი

აკრა, 25 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ლეგონში, აკრის მახლობლად, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ამ ქვეყნის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები. განის პრეზიდენტი კვამე ნკრუმა ოფიციალურად დაინიშნა განის უნივერსიტეტის პირველი პრეზიდენტის თანამდებობაზე.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

ნიუ-იორკი, 25 ნოემბერი. (საკდესი). 24 ნოემბერს საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საბჭოთა წარმომადგენელმა ს. გ. ლაპინმა გამოთქვა რწმენა, რომ გენერალური ასამბლეა მოიწონებს გადაწყვეტილებას, რომელიც უზრუნველყოფს ისტორიული დეკლარაციის სრულ და დაუყოვნებლივ შესრულებას და რომ კოლონიური ჩაგვრისა და დამოკიდებულებისაგან ხალხთა განთავისუფლების დიადი საქმე წარმატებით დაგვირგვინდება.

ათენი, 25 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ათენში დაიწყო გაზეთ „ავგის" ახალი გასამართლება. მას ბრალად ედება „პრესის შესახებ კანონის დარღვევა". გასამართლების საბაბად გამოიყენეს „ავგის" 12 სექტემბრის სტატია, რომელშიც მტკიცე პროტესტია გამოთქმული გაზეთის მიმართ ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ.

ბუენოს აირესი, 26 ნოემბერი. (საკდესი). არგენტინის პრეზიდენტი არტურო ფრონდისი დღეს ბუენოს-აირესიდან გაფრინდა პორტ-ოფ-სპეინში (ტრინიდადის კუნძული), სადაც შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედლაი სტივენსონს ლათინური ამერიკის მდგომარეობის განსახილველად.

# საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

# საირუს იტონი ამხელს...

ნიუ-იორკი, 25 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მრეწველმა საირუს იტონმა წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს უ ტანს თხოვნით ყურადღება მიაქციოს ამერიკის შეერთებული შტატების თანამდებობის პირთა ამასწინანდელ განცხადებებს, პირებისა, რომლებიც ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დისკრედიტაციას, აგრეთვე იმას, რომ გამოკვლევის ფედერალური ბიუროს აგენტები უთვალთვალებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიპლომატებს.

დასადასტურებლად იტონმა წერილს დაურთო სამი ამონაჭერი ამერიკის გაზეთებიდან. პირველი მათგანი არის ცნობა ვაშინგტონიდან, რომელიც გამოაქვეყნა კოლუმბუსის (ოჰაიოს შტატი) საღამოს გაზეთმა „დისპეტჩმა", ამ ცნობის თანახმად, „მთავრობის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა" თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია „მოხერხებული მთავარი ბინაა" „ჯაშუშური საქმიანობისათვის". მეორე ამონაჭერია დეპეშა ვაშინგტონიდან, რომელიც გამოაქვეყნა „ჩიკაგო დეილი ნიუსმა". ამ დეპეშაში ნათქვამია, რომ გამოკვლევის ფედერალური ბიუროს აგენტები თვალყურს ადევნებენ გაერთიანებული ორგანიზაციის დიპლომატებს.

შეეხო რა რობერტ კენედის განცხადებას, იტონი სწერს უ ტანს: „სერიოზული ბრალდება, რომლის შესახებ ილაპარაკა იუსტიციის მინისტრმა, მოჰყვა გამოკვლევის ფედერალური ბიუროს საქმიანობის შესახებ ცნობების გამოქვეყნებას, ბიუროსი, რომელიც უთვალთვალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალს. როგორც თქვენთვის უდავოდ ცნობილია, გამოკვლევის ფედერალური ბიურო იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება... ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა, უეჭველია, უნდა გააკეთოს განმარტება.

რამდენადაც ჩემმა ბიძამ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის განსვენებულმა წევრმა, ჩარლზ იტონმა ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, მე განსაკუთრებით დაინტერესებული ვარ, რომ აყვავდეს ეს ორგანიზაცია. ამიტომ იმედი მაქვს, რომ იუსტიციის მინისტრი, მართებულად მიიჩნევს უარყოს თავისი უპასუხისმგებლო და თავდაუჭერელი განცხადება, რომელიც დალასში გააკეთა".

# დიპლომატიურ ბურუსში

### ჩვენი მიმომხილველის რეპლიკა

ძველად იტყოდნენ, ღმერთმა დიპლომატებს ენა იმისთვის მისცა, არა თქვან ის, რაზედაც ფიქრობენო.

დასავლეთის დიპლომატიისათვის ეს კანონი დღესაც მოქმედებს.

ახლახან დამთავრდა ბუნდესკანცლერის კონრად ადენაუერის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ კენედის მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების თვალშესახები და აშკარა შედეგი ის არის, რომ ოთხმოცდამეექვსე წელში გადამდგარი კანცლერი გაცივდა და ამერიკული გრიპი შეეყარა. ის შინ უნდა იჯდეს. გადაიდო მისი შეხვედრები ინგლისის პრემიერ მაკმილანთან და საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლთან.

სხვა შედეგებზე ლაპარაკი ცოტა არ იყოს ჭირს, მოლაპარაკება აბსოლუტური საიდუმლოების პირობებში მიმდინარეობდა, კომუნიკე კი, რომელიც მოლაპარაკების შედეგებს მიეძღვნა, დიპლომატიური ბურუსით არის მოცული.

რისთვის წავიდა ადენაუერი ვაშინგტონში? ადენაუერი ამერიკაში იმისათვის გაემგზავრა, რომ განემტკიცებინა ყბადაღებული, უბადრუკი „ძალის პოზიციის" პოლიტიკა, რომლის სრულ ავანტიურიზმსა, უნაყოფობასა და უპერსპექტივობაში მისი გამომგონებელი და შემთხველი ჯონ ფოსტერ დალესიც, ვგონებ, დაეჭვდა სიკვდილის წინ.

ადენაუერს შეეშინდა, კენედიმ არ მიღალატოს, საბჭოთა კავშირთან სხვა პოზიციებიდან არ გამართოს მოლაპარაკებაო, თუმცა ასეთი ეჭვისათვის ამერიკის პრეზიდენტს არავითარი საბუთი არ მიუცია.

გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ კომუნიკეს მიხედვით მკითხველი წესიერად ვერც კი გაიგებს, თუ რაზე ითათბირეს ადენაუერმა და კენედიმ.

დასავლეთ ბერლინს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდესო, მან სავსე ცხოვრების პირობებში უნდა იარსებოსო, წერია ამ კომუნიკეში. გაუგებარია, რატომ სურთ შემტვრიონ ღია კარი? ვინ ემუქრება დასავლეთ ბერლინს, მის თავისუფლებას? ნუთუ მისი სტატუსის ოთხმხრივი ხელშეკრულებით გაფორმება მის ცხოვრებას ანემიურს, უსისხლხორცოს გახდის?

საბჭოებთან მოლაპარაკებას მაშინ დავიწყებთ თუ ბერლინის სექტორალურ საზღვარზე გააუქმებენ იმ ღონისძიებებს, იქ რომ 13 სექტემბერს შემოიღესო, აღნიშნავს კომუნიკე. თათბირის თუ მოლაპარაკების ცალმხრივი პირობებით შეზღუდვას არადიპლომატიურ ენაზე ულტიმატუმი ჰქვია. ულტიმატუმების ენით საბჭოთა კავშირთან ლაპარაკი ანაქრონიზმია. ლორდ კერზონის დრო ისტორიას ჩაბარდა. ეს სრულიად უნაყოფო პოლიტიკაა. ცხოვრებამ კარგა ხანია ეს დაამტკიცა.

კომუნიკეს ბანალური ფრაზები — ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი მშვიდობის, თავდაცვის იარაღიაო — ალბათ ძუძუმწოვარა ბავშვებისათვის არის განკუთვნილი. ნატო და მშვიდობა — ეს, ერთმანეთის გამომრიცხავი ორი ცნებაა. ადენაუერი მარტო ლამაზი სიტყვების წარმოსათქმელად არ წავიდოდა ვაშინგტონში. ასეთი საქმეებისათვის მას კარგად გაწვრთნილი პროპაგანდისტთა გუნდი ჰყავს.

ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრესი" წერს, ვაშინგტონის მოლაპარაკების შედეგად ბონის კანცლერმა თითქოს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანხმობა, რომ დასავლეთი გერმანია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შემწეობით ატომგულის იარაღს მიიღებსო.

თუ ეს მართალია, ეს კი მართალს ჰგავს, მაშინ გასაგები ხდება ადენაუერის, შტრაუსისა და შრედერის მგზავრობის ჭეშმარიტი მიზანი.

ფრანც იოზეფ შტრაუსის ოცნება — ბუნდესვერის ატომგულის იარაღით აღჭურვა თუ განხორციელდა, კაცობრიობა უზარმაზარი საფრთხის წინაშე დადგება.

ვაშინგტონის მოლაპარაკებამ ოდნავაც ვერ გაფანტა ომის შავი ღრუბლები, რომელიც კარგა ხანია ცის კამარას რომ აწევს.

ვლ. მამავარიანი.

# ამერიკის „ზედმეტი ადამიანები"

ეს შემთხვევა მოხდა ნიუ-იორკში, ჰარლემის რაიონში 117-ე ქუჩაზე. ღამით ქუჩაში მოსიარულე პოლიციელმა ერთ-ერთი მრავალსართულიანი შენობის სახურავზე თეთრად მოკიაფე ადამიანის ფიგურა შეამჩნია. პოლიციელი მაშინვე მიხვდა, რომ სახურავზე კაცი სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად არ იყო ასული, სწრაფად აირბინა კიბე და შეეცადა საკმაოდ ახალგაზრდა კაცი დაერწმუნებინა სიცოცხლის თვითმკვლელობით დამთავრების უაზრობაში.

„ტყუილად ცდილობ ჩემს დარწმუნებას, — უთხრა მან, — მე სხვა გამოსავალი არ მაქვს".

ყოფილმა მოკრივემ ვილი პერიმ პოლიციელს მოუთხრო, რომ ცხოვრებამ, გაზეთ „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენის" სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაცილებით უფრო მძიმე დარტყმები მიაყენა მას, ვიდრე ოდესმე უგემნია რინგზე ბრძოლის დროს". უბედური შემთხვევის შედეგად ვილიმ ფეხები მოიტეხა. მოტეხილობა შეხორცდა, მაგრამ ახლა ვისღა სჭირდება კოჭლი მოკრივე ან მუშა. „ჩემისთანას არავინ გამოუწვდის დახმარების ხელს, — ამბობდა იგი, — სამუშაო დავკარგე. სახლის პატრონს ვემალები ქირის გადაუხდელობის გამო. ნუ ცდილობ გადამათქმევინო. ერთადერთი გამოსავალი თვითმკვლელობაა".

„გადავვარდები, როგორც კი ერთ ნაბიჯს გადმოდგამ" — შეჰყვირა მოკრივემ, როდესაც პოლიციელმა მასთან მისვლა დააპირა. პოლიციელის დასახმარებლად მღვდელს გამოუძახეს და სანამ იგი აღსარებას კითხულობდა, პოლიციელი ვილის მიეპარა და ხელი სტაცა. სახურავის კიდეზე ორთაბრძოლა გაიმართა. მაგრამ პოლიციელი შიმშილისაგან დაუძლურებულ სპორტსმენზე ძლიერი აღმოჩნდა და პერი საავადმყოფოში წაიყვანეს.

აქ გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენი", რომელმაც გამოაქვეყნა ყოფილი მოკრივის ვილი პერის ეს ისტორია, წერტილს სვამს.

მას არ აინტერესებს, რა იქნება ხვალ, როდესაც ვილი კვლავ ქუჩაში აღმოჩნდება მარტო, არავისთვის საჭირო ამ დიდ ქალაქში. მას არ აინტერესებს იმ უსახლკაროთა — ამერიკის „ზედმეტ ადამიანთა" ბედი, რომელთა რიცხვი რამდენიმე მილიონს აღწევს.

# კომუნისტი სპორტი

## საჭადრაკო დუელი

ბაქო. 26 ნოემბერი. აზერბაიჯანის დედაქალაქი დიდი სპორტული ზეიმის მოწმეა. ეს არის ჩვენი ქვეყნის XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი.

ჩემპიონატის მეშვიდე ტური გამოირჩეოდა შედეგიანობით. ამ დღეს პარტიათა უმრავლესობა დამთავრდა.

განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდა ლიდერი — ახალგაზრდა გროსმაისტერი ბორის სპასკი. მეშვიდე ტურში იგი იბრძოდა ბრონშტეინის წინააღმდეგ. დასაწყისში ორივე მოჭადრაკე ცდილობდა პარტიის გართულებებით ხელთ ეგდო ინიციატივა, მაგრამ ბოლოს ისეთი პოზიცია შექმნა, რომ არც ერთ მხარეს არ შეეძლო მოგებაზე ეფიქრა, და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

სტარტზე წარუმატებლობის შემდეგ გროსმაისტერმა ტაიმანოვმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. მან ძლიერად ჩაატარა პარტია სმისლოვთან და აიძულა მეტოქე თავი დამარცხებულად ეცნო. გროსმაისტერმა კერესმა მოუგო ლენინგრადელ ოსტატს ვლადიმიროვს.

ოსტატ გურგენიძის მდგომარეობა სატურნირო ცხრილში კვლავ არასახარბიელო რჩება. პოლუგაევსკისთან პარტიაში მას უიმედო პოზიცია როდი ჰქონდა, მაგრამ ენდშპილში შეცდომა დაუშვა, განიცადა მატერიალური ზარალი და დამარცხდა.

კვლავ წარმატებით გამოდის გროსმაისტერი ხოლმოვი, მეშვიდე ტურში მან კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში, დაამარცხა ხასინი. კოცმა მოუგო ბაგიროვს.

ჯერ კიდევ მკრთალია ტალის სპორტული მაჩვენებლები. მეშვიდე ტურში იგი ყაიმს დასჯერდა გიპსლისთან პარტიაში. ასეთივე შედეგი ქნა ფიქსირებული სავონ-შამკოვიჩის პარტიაში. ორი პარტია გადაიდო.

ბაქო. 27 ნოემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მერვე ტური.

სპასკიმ დაამარცხა პოლუგაევსკი, კოცმა — შიაནოვსკი, ვლადიმიროვმა — სმისლოვი. ბაგიროვ-გიპსლისის, ხასინ-ბრონშტეინისა და შამკოვიჩ-კერესის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

8 ტურის შემდეგ წინ არის ლენინგრადელი გროსმაისტერი სპასკი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს. ხოლმოვს 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, შამკოვიჩს — 5,5 ქულა.

## სარატოვის ტურნირი წყალბურთში

გასულ კვირადღეს სარატოვში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების დასკვნითი ტურნირი წყალბურთში 8 უძლიერესი კოლექტივის მონაწილეობით.

მეტად მძიმე და პასუხსაგები მატჩი ჰქონდა ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს — მოსკოვის „დინამოს" დედაქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყალბურთელებთან. შეხვედრა დაამთავრეს ფრედ 2:2.

მეორე ლიდერი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის წყალბურთელთა კოლექტივი შეხვდა ლვოვის „დინამოს" და დაამარცხა იგი ანგარიშით 5:2.

წარმატებით ჩაატარა შეხვედრა თბილისის „დინამომ", რომელიც სტარტზე შეხვდა რსფსრ „ტრუდის" გუნდს. თბილისელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და იგი ბოლომდე შეინარჩუნეს. ანგარიშით 6:1 გაიმარჯვეს დინამოელებმა და გათამაშების ცხრილში 2 ქულა ჩაიწერეს. ლენინგრადის „ბალტიკისა" და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ 5:5.

## დინამოელთა გამარჯვება

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი ბოლივიაში იმყოფება, სადაც რამდენიმე მატჩს ჩაატარებს. ადგილობრივი ფეხბურთის მოყვარულები და პრესა დიდ ინტერესს იჩენენ თბილისელთა გამოსვლებისადმი, ბილეთები წინასწარ არის გაყიდული.

პირველი მატჩი შედგა გასულ კვირადღეს ქ. ლაპასში. დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ ბოლივიის ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდის — „სტრონჟესტის" ფეხბურთელები.

მატჩი ხასიათდებოდა ტემპიანი და საინტერესო ბრძოლით. პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. შეხვედრის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა შეძლეს თითო ბურთის გატანა. გაიმარჯვა თბილისის „დინამომ" ანგარიშით 2:1.

ტრუხილიოს ოჯახის გაკოტრებული ხროვის ნაცვლად ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა დომინგოს რესპუბლიკაში ხელისუფლების სათავეში დააყენეს ბალაგერის ისეთივე მოღალატური და ჯალათური ხროვა.



 აი ფოკუსი!

ნახატი გაზეთ „რომინია ლიბერადან".

## „საქართველოს კომუნისტი" № 11

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" მორიგი მეთერთმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და წესდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა 30 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

28 ნოემბერი

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „ბედნიერების სამი სართული", 18.00 — ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი", 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „სპორტი სწავლასა და შრომაში", 18.40 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 19.00 — კინოჟურნალი, 19.10 — გადაცემა — „მთავარია ხარისხი", 19.25 — საესტრადო კონცერტი, 20.05 — ახალი ამბები, 20.20 — მხატვრული ფილმი „მგლები და ცხვრები" (პირველი სერია).

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-03, 1-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 1-73-24, უცხოეთის — 3-40-21, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 1-64-42.